წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 10 აპრილი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 12

## ჟურნალის შინაარსი

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4 ყრილობის გამო—**ალ. ხელაძე**; ჩემი შთაბეჭდილებანი საბჭოთა ყრილობაზე—**ნ. ელიავა**; ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4 ყრილობა—**დამხ[illegible]ე**; საქ. საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგები—**გრ. მანი**; პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა სისტემა?—**ს. ელიაძე**; ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; ჩინეთის გარშემო—**მიმომხილველი**; საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში—**ინჟ. ა. კანდელაკი**; მარქსისტები ისევ მარქსიზმს უნდა დაუბრუნდენ—**ივ. ვეკუა**; ღარიბ სტუდენტების კვირეულის გამო—**ს. ფანცხავა**; მორიგი გამარჯვება კულტურულ ფრონტზე—**ექ. ივ. ლორთქიფანიძე**; მხოლოდ ერთი გზაა—**შ. აბრამია**; სად უნდა ვიყოთ?—**კ. კობახიძე**; გაზაფხული—ლექსი—**ლ. დარჩია**; სწავლა - განათლების საქმე კახეთში—**დ. თურდოსპირელი.**

# ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4 ყრილობის გამო

5 აპრილს, 1927 წ. საქართველოს დედა-ქალაქში და ამ.-კავკასიის კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრში, თბილისში შეიკრიბა მეოთხე მორიგი ამიერ-კავკასიის საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობა.

ეს ყრილობა არის უზენაესი ხელისუფლება ამიერ-კავკასიის მიწა-წყალისა. ამ ყრილობამ, უნდა აირჩიოს, გამოყოს აღმასრულებელი ორგანო ამიერ-კავკასიის ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო.

ამრიგათ, ამიერ-კავკასიის ერები, ფედერატიულ კავშირით შეკავშირებულნი, განაგრძობენ ერთად, ხელ-ხელ ჩაკიდებული მუშაობას ეკონომიურ-კულტურული და პოლიტიკურ ფრონტზე.

ამიერ-კავკასია სადაც მოსახლეობენ სამი მთავარი ერები: ქართველები, სომხები და აზერბეიჯანის თურქები, თავიდანვე ერთ ეკონომიურ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. თვითმპყრობელობის დროს დაუსრულებელი ბრძოლა სწარმოებდა ყველა ამ ერებს შორის.

ვის არ ახსოვს სომხებსა და თათრებს შორის ხოცვა-ჟლეტა? თვითმპყრობელობის აგენტები მოხერხებულად ხელმძღვანელობდენ ძველი რომაელების სიბრძნით: „გათიშე და იმეფე".

სწორედ ამ „სიბრძნით" სურდათ მეფის აგენტებს ამიერ-კავკასიის მართვა.

მაგრამ ისტორიის მსახვრალმა ხელმა დასცა თვითმპყრობელობა და ამიერ-კავკასიაში მისი მემკვიდრეობა ხელთ იგდეს ბურჟუაზიულმა და წვრილ-ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა პარტიებმა: მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა.

ეს პარტიები ვერ მორიგდენ ურთიერთ შორის, დაშნაკი და მენშევიზმი იარაღით ხელში დაერიენ ერთმანეთს.

„ისტორიული" პრეტენზიებით შეიარაღებული ქართული მენშევიზმი ბამბაკის მთაზე ლამობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშით გამაგრებას.—ამას ჩვენი სტრატეგიული მიზნები მოითხოვსო,—ამბობდენ ისინი. სომხის დაშნაკი, არა თუ ბამბაკის მთას არ სთმობდა, ის თბილისის დაპყრობას ლამობდა, რადგანაც ეს ქალაქი სომხის კაპიტალით აშენებულად მიაჩნდათ.

ორი ღირსეული წევრნი მეორე ინტერნაციონალისა, თოფ-ზარბაზნებით უმასპინძლდებოდენ ერთმანეთს.

მუსავატი, ეს აზერბეიჯანის ბეგების დემოკრატიის თაიგული, ქართველ მენშევიზმს ვერ ურიგდებოდა: ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებს თავის საკუთრებად სთვლიდა და ოსმალეთის დახმარებით ამ ქართულ პროვინციების მისაკუთრებას ცდილობდა..

სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ ქართულმა მენშევიზმაც სცადა მეზობლებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ვის არ ახსოვს ამიერ-კავკასიის უბედურ დღეზე დაბადებული სეიმის გარდაცვალების ისტორია? აზერბეიჯანის მმართველი პარტია, ორიენტაციას ოსმალეთზე აკეთებდა, მდიდარ ბეგებს ამ გზით სურდათ შეენარჩუნებია თავის კლასის ბატონობა, რომელსაც რუსეთის ძლევამოსილი რევოლიუცია ემუქრებოდა...

დაშნაკური სომხეთი კი დენიკინის რუსეთზე აკეთებდა ორიენტაციას, იქ ეძებდა ძალას ოსმალეთთან დასაპირისპირებლად. ქართული მენშევიზმი კი ევროპას ეალერსობოდა, მის მზეს ლოცულობდა; მის ორიენტაციაზე ოცნებობდა.

და აი, ეს „დემოკრატიული პარტიები" თავის საგარეო პოლიტიკაში თამაშობდენ კრილოვის ცნობილი პერსონაჟების: გედის, თევზისა და კიბოს როლს. ერთი ცისკენ მიფრინავდა, მეორე უკან-უკან მიბობღავდა, მესამე კიდევ მორევისაკენ ეზიდებოდა კავკასიის ჭრიალა ურემს.

ვიმეორებთ: ქართველი მენშევიკები ხანდახან ცდილობდენ ამიერ-კავკასიის ერებთან შეთანხმებას. მათ კიდეც მოაწყვეს ამ მიზნით რამოდენიმე კონფერენცია, ჯერ აზერბეიჯანის და შემდეგ კი სომხეთის წარმომადგენლებისაგან. მსჯელობის საგნათ იყო ამიერ-კავკასიის კონფედერაცია, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, შეუძლებელი შეიქნა მათ ურთიერთ შორის შეთანხმება.

ვერ მორიგდენ ეს პარტიები სადაო საკითხებში, როგორიც არის საზღვრების გაღება, ტრანზიტი და სხვა. სადაო საკითხები ევროპაშიც გადაიტანეს, სადაც იმ დროს სხვადასხვა დავალებებით ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დელეგაცია. ასეთივე დელეგატები ყავდათ იქ სომხეთს და აზერბეიჯანსაც. ეს იყო ხანა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დიპლომატიური „მოღვაწეობისა“ ევროპაში იურიდიულად ცნობის შემდეგ. მათი „მოღვაწეობის“ მთავარი საგანი იყო ევროპის კაპიტალისტებისაგან კრედიტების მიღება. ეს რესპუბლიკები მზათ იყვნენ დაეგირავებიათ მათთვის ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრე.

მათ ვერ შესძლეს ევროპის კაპიტალის გულის მოგება. მათ ყველა ასეთ პასუხს აძლევდა: „თქვენი რესპუბლიკების საშინაო და საგარეო მდგომარეობა ძლიერ მერყევია, ვინ იცის ხვალ თუ ზეგ რას მიმზადებს ბედი. ჯერ თვით თქვენ ვერ მორიგებულხართ ერთმანეთში—ერთმანეთის წინააღმდეგ ომებს აწარმოებთ. თუ კრედიტი გსურთ, ჯერ ერთმანეთში უნდა მორიგდეთო“. ასე იუბნებოდან ამ დელეგაციებს ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები.

მაგრამ, ქართველი დელეგაცია კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთლის მეთაურობით დაჟინებით უარს ამბობდა მაგალითად სომხეთთან შერიგებაზე. სომხეთის დელეგაცია კი მოითხოვდა შავ-ზღვაზე მისავალ გზას **ყარსი-არდაგანი-ბათომის ხაზით.** ირაკლი წერეთელი ამ წინადადებას ასე უპასუხებდა: ქართველი დემოკრატია ვერ მიიღებს სომხების წინადადებასო. მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები ჩაერიენ ამ საქმეში და მოინდომეს „მოძმე სოციალისტური“ პარტიების მორიგება. მაგრამ ამაოთ: დაშნაკი და მენშევიკები, რომლებსაც მუდამ კონფლიქტები ქონდათ ერთმანეთ შორის, ევროპაშიც ასეთივე შეურიგებელი დარჩენ. აზერბეიჯანის მუსავატელებმაც-კი საზღვრების საკითხი ევროპაში გადაიტანეს,მაგრამ ქართულ დელეგაციას ვერც ისინი მოურიგდენ.

მაგრამ დარეკა ამიერ-კავკასიაშიც ოქტომბრის რევოლიუციის ზარმა და ყველა ეს პარტიები იძულებული შეიქნენ ევროპაში გახიზნულიყვნენ. აქ, ამიერ-კავკასიაში მათ ადგილს იჭერს პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტია. ნაციონალური შუღლი და სისხლის ღვრა ისპობა. საზღვრების საკითხი შეთანხმების პრინციპზე იჭრება. დღეს ქართველს, სომეხს და აზერბეიჯანის მშრომელ მასებს და მათ ავანგარდს—პროლეტარიატს ურთიერთ შორის სადავო არაფერი აქვთ; მათ ერთი მიზანი და მისწრაფება ასულდგმულებს. პოლიტიკა და ეკონომიკაც საერთო აქვთ და სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებიც ერლიდა იგივე. ემიგრაციაში მყოფმა დასახელებულმა პარტიებმა რა დაინახეს, რომ ფედერაცია ამიერ-კავკასიის სინამდვილეში უკვე ფაქტია, რომ ეს კავშირი ურყევი საფუძველია მოძმე ერების თანამშრომლობის და სოლიდარული ყოფა-ცხოვრების, თვითონვე მოიწვიეს კონფერენცია ევროპაში გახიზნულ ექვს მინისტრებისა და გამოიტანეს „დადგენილება“ ამიერ-კავკასიის კონფედერაციის დაარსებისა. მაგრამ მათი ასეთი „დადგენილება“ გახლავთ, ასე ვსთქვათ, თეორეტიული ხასიათისა. რადგან საზღვრების საკითხში ჯერაც ვერ შეთანხმებულან.

მაგრამ, ემიგრაციის კონფედერაცია და საქმიანობა ისტორიამ არქივს ჩააბარა; ჩვენმა სინამდვილემ კი, მოგვცა ნამდვილი რეალური კავშირი ამიერ-კავკასიის ერებისა.

პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ამიერ-კავკასიაში ყველა მობინადრე ერებისა დღეს უკვე ფაქტია.

კომუნისტურმა პარტიამ იდეალურად გადასჭრა ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიაში. ეტნოგრაფიულად აჭრელებული ამიერ-კავკასია, სადაც მუდამ ადგილი ქონდა ეროვნულ შუღლსა და მტრობას, კომუნისტურმა პარტიამ სამუდამოთ მოარიგა, მან ერთი მიზნებით, ერთი იდეალებით გაიტაცა ისინი, ერთ ძმურ კავშირში მოუყარა მათ თავი. დღეს ადგილი არა აქვს და გვჯერა არც შემდეგში ექნება ნაციონალურ შუღლსა და მტრობას. და ყოველი ეს მოხდა არა ბურჟუაზიული პარლამენტის „ბრძნული“ პოლიტიკით, არამედ ამიერ-კავკასიის მიწა-წყალზე საბჭოთა სისტემის გამტკიცებით. ყოველი ეს მოხდა პროლეტარიატის დიქტატურის საფარველ ქვეშ.

ამიტომ, ჩვენ წრფელის გულით მოვესალმებით ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობას და ყველა მშრომლებთან ერთად ვიტყვით: გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას!
გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ალ. ხელაძე.

# ჩემი შთაბეჭდილებანი საბჭოთა ყრილობაზე

პირველად დავესწარი საბჭოთა ყრილობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ და მივიღე უშუალო შთაბეჭდილება. ეს იყო წასულ კვირაში ჩატარებული სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა. არ ვიცი, როგორ ჩატარდა წინანდელი ყრილობები, ამ უკანასკნელმა ჩემზედ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა—ეს იყო საქმიანი მსჯელობა საქმისათვის ჩამოსული ხალხისა, რომელთაც აინტერესებდათ არა ეფექტები, არამედ საქმის არსებითი მხარე. ყველა ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა საერთო, საქვეყნო საქმეში.

მთავრობის ანგარიშის გარშემო გამართული მსჯელობიდან თქვენ ნათლად გაიგებდით, რომელ კუთხეს რა აინტერესებს, რა აკლია და რის გაკეთებას თხოულობს ადგილობრივი მკვიდრი დაუყონებლივ. ამ ყრილობაზე დამსწრეს და მისი ანგარიშების წამკითხველს არა აქვს უფლება თქვას არსებულ რეჟიმს კრიტიკის ეშინია და მას არ ითმენსო. პირიქით, გამოსული ორატორები სრულიად მოურიდებლად, ზოგჯერ მწვავედაც, აყენებდენ საკითხებს მოუწესრიგებელი საქმეების შესახებ. მაგრამ, ეს იყო საქმიანი და მეგობრული კრიტიკა. და ის თავისუფალი იყო იმ ნაკლისა თუ ღირსებისგან, რომელიც თანდაყოლილი თვისებაა საპარლამენტო კამათისა, როცა ერთი ცდილობს მთავრობის ნამოქმედარი ყოველმხრივ გააშავოს და მეორეს კი უნდა ყველაფერი გაათეთროს. ასეთი ატმოსფერის შექმნას უეჭველია ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ შეკრებილი დეპუტატები ერთ ხაზზე მდგომ ხალხს წარმოადგენდენ და ამიტომ მათ შორის პრინციპიალურათ სადაო საკითხებს არ ქონდა ადგილი.

ბევრის აზრით, ეს ალბათ დიდი ნაკლია, მაგრამ ამაზე კამათს არ გამოვუდგებით. არსებული რეჟიმისათვის დიდი პრინციპიალური საკითხები უკვე გადაწყვეტილია და მასთან თანამშრომლობის უფლება და საშუალება, ეძლევა მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც ამ რეჟიმს ღებულობენ, მაზე ეყრდნობიან და მის ფარგლებში მოღვაწეობენ. ამას იგი არც არავის უმალავს და არც ებოდიშება.

და აი, როცა ამ მდგომარეობას თვლიან ისეთი პირობების შემქნელათ, რომელიც სახალხო მეურნეობის წინსვლას შეუძლებლად ხდის, მე უკვირდები მას ამ თვალსაზრისითაც და მინდა გავერკვე.

ჩატარებული ყრილობა ამ საკითხზე იძლევა სრულიად გარკვეულ პასუხს. მასში მონაწილე დეპუტატები, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულ პოლიტიკურ მიმართულებას ემხრობიან, იყვენ ნამდვილი მუშები და გლეხები, გამსჭვალულნი თავისი კლასის ინტერესებით. ამას მოწმობს ის მოთხოვნები, რომელიც მათ წამოუყენეს თავის მთავრობას. გლეხი თხოულობდა მიწათმოწყობის საქმის მოწესრიგებას, სასოფლო გზების გაკეთებას, სკოლების ქსელის გაფართოებას, სოფლისათვის საექიმო დახმარების უზრუნველყოფას, ტყით და საძოვრით სარგებლობის საქმის მოგვარებას, სამეურნეო კრედიტს და სხვ.

მუშა—გარდა მატერიალური პირობების გაუმჯობესებისა, როგორც უფრო ფართო, სახელმწიფო თვალსაზრისზე მდგომი, ლაპარაკობდა მმართველობის აპარატის ნაკლულოვანებაზე და მოითხოვდა მის გაუმჯობესებას. ამას უფრო ეტყობოდა პასუხისმგებლობის გრძნობა და შეგნება. იგი თხოულობდა ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მიუთითებდა მრეწველობის რაციონალიზაციაზე და სხვა.

ყველანი ერთად კი თხოულობდენ სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობას. თხოულობდენ ძველი რეჟიმის ნაშთებთან ბრძოლის გაგრძელებას.

როგორ შეხვდა ამ კრიტიკას მთავრობა? რა ენით ელაპარაკებოდა იგი კრებას? სრულიად მშვიდი და დინჯი, საქმიანი კილოთი იძლეოდენ განმარტებას უწყების მეთაურნი. არ მალავდენ, რომ ბევრის გაკეთება ვერ შესძლეს. უხსნიდენ ამის მიზეზებს, თხულობდენ დახმარებას ადგილებიდან და ადგილებზე. სრულიად არ ქონია ადგილი პოლემიკას კრების საზღვრებში, ხოლო თუ ასეთმა იჩინა თავი ამ ყრილობაზე, ის იყო მიმართული ყრილობის და საბჭოთა ხელისუფლების გარეშე მდებარე მისამართით...

და აი, ისევ ვუბრუნდები საკითხს: შეიძლება თუ არა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე სახალხო მეურნეობის წინსვლა, ერის მატერიალური კულტურის წარმოება, მისი სულიერი კულტურის განვითარება?

ჩატარებული ყრილობა გვეუბნება, რომ არა თუ შეიძლება, ყველა ესენი აუცილებელია და საბჭოთა ნიადაგზე აღმოცენებული ხელისუფლება ვალდებულია მთელი თავისი ენერგიით ემსახუროს იმ მიზნების განხორციელებას, რომელნიც ზევით აღვნიშნეთ. ასე დაავალა მათ ყრილობამ თავის რეზოლიუციებით, რომლებშიაც აღნუსხულია, როგორც მეურნეობის გენერალური გეგმა, ისე სადღეისო ამოცანები. და ვინც ამათ გაეცნობა, დამეთანხმება, რომ, თუ ყოველივე იქ ნაჩვენები შესრულდა, როგორც მეურნეობის, ისე კულტურის განვითარების საქმე უზრუნველყოფილი იქნება. აქ არ არის არც ერთი სტრიქონი, რომელიც მიუღებელი იყოს ვისმესთვის, ვისაც ერის მომავალი აინტერესებს.

ავილოთ რეზოლიუცია მთავრობის საერთო მოხსენების გამო. იგი თხოულობს: 1) სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთათვის მაღალ ფასებში გასაღების უზრუნველყოფას; ტეხნიკური და მაღალი ღირებულების მცენარეულობათა კულტურის გაფართოებას; მესაქონლეობის ზრდისათვის ხელის შეწყობას, საქონლის ჭირთან ბრძოლას, საძოვრების საკითხის მოწყობას; მიწათმოწყობის საქმის დაკვრითი წესით გატარებას; მელიორაციის და ირრიგაციის; გადასახადების საქმის მოწესრიგებას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობას; აგრარული დახმარების გაფართოებას; 2) ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის განსახორციელებლად—დაწყებული ქარხნების, ფაბრიკების და ჰიდრო-სადგურების დამთავრებას; მძიმე ინდუსტრიისათვის ნიადაგის მომზადებას; ადგილობრივი მრეწველობისათვის ხელის შეწყობას; დახელოვნებულ (კვალიფიციური) მუშათა და სპეციალისტთა კადრების შექმნას; უმუშევრობასთან ბრძოლისათვის განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას; 3) სახელმწიფო სავაჭროების და კოოპერაციის აპარატის გაუმჯობესებას და ზედნადები ხარჯების შემცირებას; კოოპერატივისათვის საბანკო კრედიტის და გრძელვადიანი სესხის მიცემას; 4) არსებულ გზების და ხიდების შეკეთებას და ახლების გაყვანა-აგებას; შავი-ზღვის რკინისგზის გაყვანის დაჩქარებას, ნავთსადგურების; 5) ბიუჯეტის დონეზე გატარებას; საგადასახადო აპარატის გაჯანსაღებას; 6) კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებას; სახალხო განათლების საქმის რეორგანიზაციას და სკოლების პროგრამების ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეთანხმებას; მწერალთა და ხელოვანთათვის დახმარების გაწევას; 7) პროვინციის საექიმო დახმარებით უზრუნველყოფას; 8) რევოლიუციონური კანონების საბოლოო განმტკიცებას და 9) კავშირის სადარაჯოზე მდგომ წითელი არმიის გაძლიერებაზე ზრუნვას.

აი, ასეთია მოკლეთ, სხემატიურათ ამ რეზოლიუციის შინაარსი. და რაც უფრო ახლო შევსძლებთ მის დებულებათა განხორციელებას, მით უფრო გაჯანსაღდება ერი და მით უფრო ახლო ვიქნებით ჩვენ საბოლოო მიზანთან.

ეს არ უნდა იყოს სადავო. მაგრამ შეიძლება გვითხრან: მართალია, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ გაკეთდება არა საბჭოთა წყობილების და ხელისუფლების წყალობით, არამედ მისი სურვილის წინააღმდეგო. ამაზე პასუხს იძლევა წარსულის ანგარიში და ის მაინც გაკეთებულა.

მე არ შევუდგები ამის ჩამოთვლას, რადგან მის შესახებ ბევრი თქმულა და კიდევ ბევრი ითქმება, ალბათ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ექვსი წლის განმავლობაში **საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ვერავინ შესძლებდა** ვერც ელსადგურების აგებას, ვერც მაუდის და აბრეშუმის ქარხნების აგებას, ვერც ბარიტისა და ცემენტის საქმის მოწყობას და ბევრს სხვა რაისამე გაკეთებას.

ეს არ ნიშნავს. რა თქმა უნდა, რომ ყველაფერი უნაკლოთ კეთდებოდა ან კეთდებოდეს დღეს. ამ მხრით ჩვენ გვექნება შემთხვევა სხვა დროს მივუდგეთ საკითხს.

მაგრამ ერთი აშკარაა—თვით საბჭოთა სისტემა არ არის ისეთი სახელმწიფო წყობილება, რომელიც მიმართული იყოს ქვეყნის კულტურული და მატერიალური განვითარების და წინსვლის წინააღმდეგ. პირიქით, იგი, როგორც მუშათა და გლეხთა ხელმძღვანელობის გამომხატველი უფრო მტკიცეთ და ფართოთ წარმართავს ამ საქმეს.

აი, ეს შეხედულება დაგვიდასტურა ჩატარებულმა ყრილობამ.

**ნ. ელიავა.**

# ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-4-ე ყრილობა

აპრილის ხუთს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა. მეოთხეჯერ გაუკეთდა ჯამი ამიერ-კავკასიის ფედერატიულად შეკავშირებულ ერთა ხელი-ხელ ჩაკიდებულ, ერთსულოვან, შეთანხმებულ მუშაობის შედეგს: მეოთხეჯერ მოხდა შეფასება ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეიის და ყველა, ისინიც კი, რომლებიც პირველ ხანებში უნდობლად და სკეპტიკურად უყურებდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს, დარწმუნდენ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია სავსებით გაამართლა ცხოვრებამ, რომ ის დღეს საბოლოოთ განმტკიცებულია; სწორედ ამის შედეგია ის ძმური, სოლიდარული, კეთილმეზობლური განწყობილება, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში სუფევს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ერთა შორის და აგრეთვე თვითეული ერის განადგურებული მეურნეობის აღორძინება და კულტურული ფრონტის გაძლიერება.

ყრილობაზე წარმოდგენილია ამიერ-კავკასიის თვითეული ერის მშრომელი მასის ნამდვილი წარმომადგენელი; დელეგატთა შორის თქვენ ნახავთ მხოლოდ ხელებდაკორძებულ მუშასა და გლეხს მუშა და გლეხ ქალებს.

თვითეული მათგანი საქმიანობს, ერთი დელეგატი თითქოს მეორეს ეჯიბრება აქტივობაში; ყველას სურს ილაპარაკოს საერთოდ და კერძოდ იმ მუშა-გლეხობის ჭირ-ვარამის შესახებ, რომლებმაც ის გამოგზავნეს ყრილობაზე; ლაპარაკობენ, მშობლიურ ენაზე: ქართულად, თურქულად, სომხურად, რუსულად, ვისაც როგორ სურს და ეხერხება.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ცხაკიამ,** რომელმაც ზოგადი მიმოხილვა გაუკეთა აიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობას და აღნიშნა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიე-

რე; ამჟამად ჩვენ წარმოვადგენთ საერთაშორისო პოლიტიკურ უდიდეს ფაქტორს და მამოძრავებელ ძალას, რომელზედაც ემყარება, როგორც დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა, ისე აღმოსავლეთ ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამბობს ამხ. მ. ცხაკაია.

შემდეგ ყრილობას ესალმება საკავშირო მთავრობის სახელით მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და გზათა სახ. კომისარი ამხ. **რუძუტაკი,** რომელიც შეეხო საბჭოთა კავშირის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობას; ჩვენ გამოვნახეთ ახალი გზები ჩვენი ეკონომიურად განვითარებისათვის; ეს გზები ჩვენ მეურნეობას აყენებს უფრო მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე, ვიდრე ის დღემდე იდგა; ასეთი მიზანშეწონილი ღონისძიებანი ჩვენ საშუალებას მოგვცემს გავანთავისუფლოდ შრომა მუშების ტყვეობისაგან; ეს კი ჩვენ მოგვცემს საშუალებას ნაკლები ფიზიკური შრომის დახარჯვით უფრო მეტად დავაკმაყოფილოდ მუშურ-გლეხური ფართო მასების მოთხოვნილებანი, ამბობს ამხ. რუძუტაკი. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ კი მან განაცხადა: მართალია ჩვენ გვემუქრებიან, იარაღის აყღარუნებასაც კი აპირებენ ხშირად ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ დღევანდელ მომენტში ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს მათი მუქარა, ვინაიდან ურთიერთობის შეწყვეტა. მათთვის უფრო საზარალოა ვინემ ჩვენთვის. ჩვენ ვისწავლეთ მოთმინება და ჩვენი მეურნეობის მშენებლობა მტრებით გარემოცულ ქვეყანაში. ჩვენ მაგრად გვიჭირავს კომუნიზმის დროშა და დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ დროშის ხელიდან გამოგლეჯა.

შემდეგი ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება ამიერ-კავკასიის მთავრობის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. **მამია ორახელაშვილმა.** მომხსენებელს არ დუტოვებია ამ ორი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი რომ არ შეხებოდა, როგორც სამეურნეო-ეკონომიურ აღორძინების საქმეში, ისე განმანათლებელ და საერთოდ კულტურულ დარგში.

ინდუსტრიალიზაციის შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ ის თავის მოწესრიგებულ გავლენის ქვეშ აქცევს სასოფლო მეურნეობას, რომელიც კოოპერატიულ დარაზმვის გზით ეზიარება მეურნეობის მაღალ ფორმებს, რომლებმაც უმოკლესი, უფრო ეკონომიური გზით უნდა წაგვიყვანოს სოციალიზმისაკენ; ჩვენ უკვე გადავდგით ამ მხრივ ნაბიჯები, მაშასადამე ჩვენ გვაქვს სამეურნეო დარგში გამარჯვების მტკიცე საწინდარი. რაც შეეხება მრეწველობას, აქ უკვე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს აღდგენის პროცესი. ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, როგორც მძიმე ინდუსტრიის ისე მსუბუქი ინდუსტრიის ხაზის; საშუალებანი მრეწველობის აღსადგენად შარშან შეადგენდა 6,5 მილიონ მანეთს, წელს კი მიღებულია ბიუჯეტით ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის 13 მილიონ მანეთზე მეტი. მოსალოდნელია კიდევ ბიუჯეტის გადიდება 20 მილიონ მანეთამდე; ეს თანხა კი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობის აღდგენის საქმეს.

რაც შეეხება სავაჭრო პოლიტიკას, აქაც ჩვენ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს; თუ დღემდე საგარეო ვაჭრობა ხასიათდებოდა სამომხმარებლო საქონლის შემოზიდვით, სამაგიეროდ წარსულ წელს საჭიროზე მეტი შემოვზიდეთ საწარმოო ხასიათის საქონელი; წელს ექსპორტი ბევრათ სჭარბობს იმპორტს. საწარმოო ჯგუფები, სულ შემოზიდულ საქონლიდან. 18 მილ. მანეთზე მეტი ღირებულებისა, აქედან მრეწველობის საჭიროებაზე მოდის 12 მილიონი მან. ღირებული საქონელი, სასოფლო მეურნეობისათვის 3 მილიონ მანეთამდე, სულ საწარმოო საჭიროებისათვის მოდის 15 მილიონამდე. ამხ. მ. ორახელაშვილი დაწვრილებით შეეხო აგრეთვე რკინის გზებს, ელექტროფიკაციის საქმეს, უმუშევრობას, კოოპერაციას, ბანკების მუშაობას, კულტურულ ფრონტს და სხვა.

ჩვენ ვდგევართ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, მაგრამ თუ მტრები არ მოგვასვენებენ და სამტროდ მოგვიკაკუნებენ კარებზე. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მათ შესახვედრად და გავცეთ ისეთი პასუხი, როგორიც შეშვენის იმ ქვეყანას, რომელმაც მთელი ქვეყნის მშრომელთა ბელადის ამხ. ლენინის ანდერძით აიღო ისეთი ტვირთი. რომელიც მან უნდა მიიტანოს კომუნიზმის კარებამდე, ან დაიღუპოს ამ ტვირთის ქვეშ, დასკვნის ამხ. ორახელაშვილი.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის გზათა რწმუნებულმა ამხ. შ. ელიავამ, რომელმაც აღნიშნა ა. კ., როგორც რკინის გზების ისე გზატკეცილების საჭიროებანი, რომლის დასაკმაყოფილებლად მომხსენებლის აზრით საჭიროა: 1) გადიდება სანელმწიფო ბიუჯეტით თანხების საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისათვის 2) განხორციელებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წლის აპრილის 12-ს დადგენილება მნიშვნელოვან გზებისათვის ბიუჯეტით თანხის გაღების შესახებ; 3) გადიდებულ უნდა იქნას ადგილობრივი ბიუჯეტით თანხები ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვს: 4) შემოღებულ უნდა იქნეს ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში, საიალდებულო შრომის ბეგარა სოფლის მოსახლეობისათვის შარა-გზებისა და მოვლა-პატრონობის სფეროში, დასასრულ 5) გზათა მშენებლობის საქმის გეგმიანად შეკავშირებისათვის ა. კ. მასშტაბით გაძლიერებულ იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების ტეხნიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივ მნიშვნელობის გზების მშენებლობის საქმეში.

ყველა მოხსენებების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ამიერ-კავკასიის ყველა კუთხის დელეგატები.

დამსწრე.

# საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგები

დასრულდა საქ. საბჭოთა მეოთხე ყრილობა, რომელმაც გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებათა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა, მრეწველობისა და საერთოდ ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის კიდევ უფრო გამაგრებისა და განმტკიცებისათვის; ხსენებულ მიზნების განსახორციელებლად მან დაადგინა: 1) ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რათა ინტენსიფიკაციის გზაზე შემდგარი ჩვენი მეურნეობა იქცეს საქალაქო მრეწველობის ურყევ ბაზად; ხოლო სოფლის პროდუქციის გაძლიერებისათვის უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცხოვრებაში გატარება; 2) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამელიორაციო-საირიგაციო მუშაობას და მოსახლეობის გადასახლების საქმის მოწესრიგებას; 3) გაძლიერებულ იქნას კავშირი ცენტრსა, სამაზრო აგრონომიულ ძალებსა და სოფლის მოსახლეობის შორის; 4) გაუმჯობესებულ იქნას მრეწველობის ფინანსიური და ტეხნიკური ბაზა, რაც გააძლიერებს შრომის ნაყოფიერებას და შესაძლებლად გახდის სამრეწველო პროდუქციის ფასების კიდევ შემცირებას; 5) ინდუსტრიალიზაციასთან ერთად მიღებულ იქნას ზომები მუშათა ბინების აღმშენებლობის მოსაგვარებლად და გასაუმჯობესებლად. მიექცეს უმთავრესი ყურადღება უმუშევრობასთან ბრძოლას, რისთვისაც შემუშავებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი; 6) მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები ჩვენი გზატკეცილებისა, შარა-გზებისა და აგრეთვე ახალი გზების გასაყვანად; გაცხოველდეს აგრეთვე შავი-ზღვის რკინისგზის გაყვანაზე მუშაობა; 7) გაჯანსაღებულ იქნას სავადასახადო აპარატი; 8) მიღებულ იქნას ზომები განათლების საქმის რეორგანიზაციისათვის იმ მხრით, რომ ყველა საფეხურის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამა სავსებით შეეფერებოდეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პირობებს და იმ

ახალ ძოთხოვნილებებს, რასაც აყენებს ინდუსტრიის განვითარების ამოცანები; 9) ხელი შეეწყოს როგორც მწერლობის, ისე ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას ახალ სოციალისტურ კულტურულ საფუძველზე; 10) მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები პროვინციის მედიკური პერსონალით დასაკმაყოფილებლად; 11) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასამართლოს ორგანოებისა და ძირითად აპარატის გამოცოცხლებას; 12) შემუშავებულ იქნას პრაქტიკული ზომები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად; 13) დაევალოს მთავრობას ხელი შეუწყოს წითელ არმიის კიდევ მეტად გაძლიერებას, რადგანაც მშვიდობიანობის გარანტიას ძლიერი და ყოველმხრივ მომზადებული მუშათა და გლეხთა წითელი არმია წარმოადგენს.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე კონკრეტიული დადგენილებანი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შესახებ.

დარწმუნებული ვართ, საბჭოთა ხელისუფლება ადგილებზე მომუშავეთა აქტიური და ენერგიული მონაწილეობით შესძლებს ზემოთ ჩამოთვლილ დადგენილებათა ცხოვრებაში სავსებით გატარებას.

გრ. მა—ნი.

# პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა სისტემა?

იყო დრო, როდესაც პარლამენტარული წყობილება პროგრესიულ მოვლენად ითვლებოდა ცხოვრების განვითარებისა და წინმსვლელობის საქმეში. თვითმპყრობელური რეჟიმი შეზღუდული კაპიტალისტური სისტემა გადაუდებელ ამოცანად აყენებდა ბურჟუაზიის წინაშე, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება გამოეგლიჯა თვითმპყრობელობისათვის, იმ ხანად კაპიტალიზმის მესვეურები მართლაც ერთგვარ რევოლიუციონურ საქმეს აკეთებდა.

თვალი რომ გადავავლოთ რუსეთის თვითმპყრობელობის ისტორიას, ბურჟუაზიის წარმომადგენლები კადეტების სახით, აქაც რევოლიუცინური ფრაზებით გამოდიოდა, რა თქმა უნდა უმთავრესად სიტყვით და არა საქმით. მაგრამ როდესაც მუშათა კალსმა დიდი ხნის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ დაამხო თვითმპყრობელობა, ისინი დაუყოვნებლივ დაფრთხენ რევოლიუციის საშიშროების წინაშე და მეორე დღესვე დაუწყეს მუდარა დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრესძეს დაეჭირა თვითმპყრობელობის ტახტი.

დღეს უკვე საკმარისად არის გამორკვეული ის დებულება, რომ კაპიტალისტური წყობილება მშვენივრად თავსდება მონარქიის კალთების ქვეშ, თუ კი ამ უკანასკნელმა მას მიანიჭა თავისუფლების მინიმალური პირობებიც კი.

ეს ნათლად გამოაშკარავდა როგორც 1905 წლის რევოლიუცია შემდეგ, ის ევროპის სხვა სახელმწიფოების სინამდვილიდანაც.

რას ვხედავთ დღეს ჩვენ ევროპის მრავალ სახელმწიფოში?

იქ კაპიტალისტები მშვენივრად ეგუებიან პარლამენტებთან ერთად მონარქიის არსებობასაც. პირიქით მათ ვერ წარმოუდგენიათ მონარქის მფარველობის გარეშე მათი ბატონობის შესანარჩუნებლად.

ინგლისი, ეს პარლამენტარული წყობილების ძველი ქვეყანა, რომელ წყობილებასაც ქართველი მენშევიკები გუნდრუკს უკმევენ და ის იდეალურ თავისუფლების ქვეყნად მიაჩნიათ, მშვენიერ განწყობილებაშია მის მეფესთან. თუმცა აქ მისი უფლებები ძალზე შეზღუდულია, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ამ მეფისა და მისი გვარეულობის შესანახად მილიონები იხარჯება ინგლისის ხაზინიდან.

რა მოვალეობას ასრულებს ეს „პატივცემული“ პიროვნება?

მის ფუნქციას შეადგენს პარლამენტის სესიების გახსნა და იქ სეფე-სიტყვის წარმოთქმა. ამას კი ადგილი აქვს წელიწადში ერთხელ, ან ორჯელ. დანარჩენ დროს კი მეფე თავისი ამალით სრულიად თავისუფალია. დრო გამოშვებით მეფე და მისი ოჯახის წევრები მოისურვებენ სხვა ქვეყნებსა და კოლონიებში გასეირნებას და ამისთვის რა თქმა უნდა პარლამენტი აძლევს მათ საგრძნობ თანხებს ინგლისის ხალხის ქონებიდან.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ლენსბერიმ პარლამენტიდან ინგლისის მეფის შვილის გასასეირნებლად გამოთხოვილ თანხების საკითხის განხილვის დროს მოსწრებულად შენიშნა: „ინგლისის მუშები არაფერს დაკარგავენ იმით, თუ ტახტის მემკვიდრე სულ არ დაბრუნდება ინგლისშიო“.

რა თქმა უნდა ამ შენიშვნამ დიდი აღშფოთება გამოიწვია კონსერვატორთა წრეებში. ეს არივსთვის არ იყო მოულოდნელი, მაგრამ საკითხავია, როგორ უყურებს მონარქის არსებობას ინგლისის მუშათა პარტიის ბელადები და ფიქრობენ თუ არა ისინი როდესმე უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც მონარქი განთავისუფლებული უნდა იქნეს თავის თანამდებობიდან?

ამის ნიშნები ჯერ კიდევ არ სჩანს. პირიქით მაკდონალდი ფიქრობს თავის ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელებას ყოველგვარ ძალდატანების გარეშე. ის არწმუნებს მუშებს, რომ ინგლისის მეფე არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს სოციალიზმის განხორციელების საქმეს.

ერთის წუთით სინამდვილეთ მივიღოთ მისი ქადაგება და დაუშვათ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ერგო ინგლისის მუშათა პარტიას და მთავრობას სათავეში მაკდონალდი მოექცა. (თუმცა ასეთი შემთხვევა 24 წელში უკვე იყო, მაგრამ მუშათა პარტიას იმ დროს პარლამენტში საკმაო უმრავლესობა არ ყავდა და ის ლიბერალურ პარტიასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ არ შეუდგა მისი დაპირების განაღდებას). მაკდონალდის მთავრობამ პარლამენტის საშუალებით შეუდგა სოციალიზმის განხორციელების საქმეს, გამოაცხადა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრიობა, რკინის გზებისა და მაღაროების ნაციონალიზაცია დ სხვ. პარლამენტის უმრავლესობამაც დაადასტურა მთავრობის ასეთი ღონისძიებანი.

რას იზამს ამ შემთხვევაში ბურჟუაზია და მისი დამცველი ინგლისის მეფე?

ისინი იმოქმედებენ ისე როგორც მათ კლასიურ ინტერესებს შეეფერება. პარლამენტში დამარცხებული ბურჟუაზია ბრძოლის ფრონტს ქუჩაში გადმოიტანს და ძალა-უნებურად ჩაითრევს მუშათა მთავრობას მის მიერ ასე ათვალწუნებულ სამოქალაქო ომში.

აბა კითილ ინიბონ და უარყონ ეს დებულება მენშევიიზმის მესვეურებმა, რომლებიც კომუნისტებს სამოქალაქო ომის გამოწვევას აბრალებენ.

რომ ინგლისის კაპიტალისტები ასე მოიქცევიან, ამის ფაქტები მრავლად არსებობენ თუნდაც იმ საყოველთაო გაფიცვის ისტორიიდან, რომელსაც ადგილი ქონდა გასული წლის მაისში.

ამ გაფიცვით დამფრთხალი კაპიტალისტები ძალზე შეშფოთდა და დაუყოვნებლივ მიყო ხელი რეპრესიული ზომების მიღებას გაფიცულთა წინააღმდეგ. ის ამითაც არ დაკმაყოფილდა, და პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი გაფიცვის საწინააღმდეგოთ, რომლის მიხედვით გაფიცვები გამოცხადებულია უკანონო მოქმედებათ და მისი მონაწილენი პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ეს უკვე საკმაო საბუთია იმისათვის, რომ ინგლისელი კაპიტალისტები საფრთხის მოახლოების დროს არ დაერიდებიან არავითარ საშუალებებს თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად.

ხოლო რაც შეეხება თვით სისტემას საპარლამენტო არჩევნებისას, აქაც მრავალი ფაქტებია იმის დასადასტურებლად, თუ რაგვარ სიყალბეს მიმართავენ ბურჟუაზიის

წარმომადგენლები იმისათვის, რომ პარლამენტებში ყავდეთ თავიანთი უმრავლესობა.

ზინოვიევის ყალბი წერილის გამოქვეყნება 24 წელში ინგლისის საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩევლების მეშჩანურ ნაწილის დასაშინებლად ერთი იმ როგოლთაგანი იყო, რომელსაც ყოველთვის აქვს ადგილი ასეთი არჩევნების წინ. მოწინააღმდეგისათვის ჩირქის მოცხება, ამომრჩეველთა მოსყიდვა და სხვა ასეთები ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ბურჟუაზიის მიერ. და აი ასეთ არჩევნებს უწოდებენ ისინი კანონიერს და სამართლიანს.

ეხლა თვალი გადავავლოთ იმას, თუ უკანასკნელ ხანებში თვით ბურჟუაზია როგორ უყურებს პარლამენტარულ წყობილებას, უწევს თუ არა მას ისეთ ანგარიშს, როგორსაც წინად ქონდა ალაგი?

რა თქმა უნდა არა.

უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიაში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა ფაშიზმის სახით, რომელმაც თავის გამოხატულება პირველად იტალიაში ჰპოვა. ფაშიზმის მეთაურმა მუსოლინიმ პარლამენტი დიდი ხანია რაც თავის ყურმოჭრილ მონად გადააქცია და მასში მოსპო ოპოზიციის უბრალო გამოსვლებიც კი. მან პარლამენტიდან გაძევა ყველა ისინი, რომლებიც მუსოლინის თვალსაზრისს კრიტიკის თვალით უცქეროდენ.

რა ზომები მიიღო იტალიელმა სოციალისტებმა მუსოლინის ასეთი თავხედობის წინააღმდეგ?

ისინი მხოლოდ სიტყვიერ პროტესტით დაკმაყოფილდენ და ქედი მოიხარეს ფაშისტურ დიქტატურის წინაშე. ერთად ერთი მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ—მატეოტი ფაშისტებმა ვერაგულად მოკლეს.

მუსოლინს არც პოლონელი პილსუდსკი ჩამორჩა და მანაც ძალიან ადვილად შესძლო ძალაუფლების დაპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ სეიმი მისი წინააღმდეგი იყო.

რა მოხდა მეორე დღეს? იმავე სეიმმა პილსუდსკის მორჩილება გამოუცხადა და მისი ბატონობა აღიარა.

ასეთია ცოცხალი ფაქტები. დღეს ბურჟუაზიას პარლამენტი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის მისი ნება-სურვილების გამომხატველი იქნება.

სამაგიეროდ პარლამენტარული წყობილებაზე დღეს უაღრესად შეყვარებულია მსოფლიო მენშევიზმი. ის ორგანო, რომელიც ბურჟუაზიამ შექმნა თავისი ბატონობის განსამტკიცებლად და რომელსაც დღეს თვითონვე ალმაცერათ უცქერის, მენშევიზმის ბელადებმა სოციალიზმის განმახორციელებელ კერად გამოაცხადეს. მათ დიდი ხანია დაივიწყეს მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის შესახებ სოციალიზმის დამყარების საქმეში და ცდილობენ დაარწმუნონ მშრომელი მასები თავიანთი თვალსაზრისის სისწორეში.

კომუნისტურმა ინტერანციონალმა ამ ყალბ შეხედულობას დაპირდაპირა საბჭოთა სიტემა და მშრომელთა დიქტატურა, რომელიც უკვე მეათე წელია არსებობს საბჭოთა კავშირში და საქმით ანხორციელებს სოციალისტურ წყობილებას.

ამ ნიადაგზე მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე უკვე დაისვა არჩევანი: პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა სისტემა. ეჭვი არ არის მუშათა კლასი აირჩევს მეორე გზას—საბჭოთა სისტემას, ვინიადან ამას უკარნახებს მას კლასიური ინსტიქტი და მუშური მოვალეობა.

ის მრავალი დელეგაციები, რომელთაც ევროპის მუშათა კლასი გზავნის საბჭოთა კავშირში ამ წყობილების გასაცნობათ და შესასწავლად, იმის თავდებია, რომ საბჭოთა სისტემამ უკვე საკმაო ნდობა და უპირატესობა მოიპოვა მუშათა მასებში. მუშები ამ წყობილებას თავისათ თვლიან და მასში ხედავენ მათი გამარჯვების საწინდარს.

ყველა იმათმა, რომელთაც არ სურთ ისტორიის ჩარხის უკუღმა შემობრუნება, გვერდში უნდა ამოუდგეს საბჭოთა წყობილებას თუ არ სურს მუშათა მოძრაობიდან გარიყული დარჩეს.

როგორც ფეოდალურმა წყობილებამ მოსჭამა თავისი დრო დ ისტორიას ჩაბარდა, ისე პარლამენტარიზმიც—ეს კაპიტალიზმის დასაყრდენი იარაღიც ისტორიას უნდა ჩაბარდეს. მას ყველა ქვეყნებში შესცვლის საბჭოთა წყობილება.

ს. ელიაძე.

# ორიენტაციის საკითხები

## მეორე წერილი გრიგოლ ლორთქიფანიძეს

### VIII

ძმაო გრიგოლ!

ვიმეორებ: პოლემიკა ისეთი ხელობაა, რომლის საშუალებითაც მოწინააღმდეგეს ვერაფერს ვერ დაუმტკიცებ.

მაგრამ არის მოწინააღმდეგე და მოწინააღმდეგეც. შენ არ ეკუთვნოდი და, დარწმუნებული ვარ, არც დღეს ეკუთვნი ისეთ მოწინააღმდეგეთა რიცხვს, რომლებიც პოლემიკას პოლემიკისთვის აწარმოებენ. მე მწამს, რომ შენი წერილები, როგორც ჩემდამი, ისე სხვებისადმი მიწერილი, გამოწვეულია იმ სულიერი ტანჯვებით, რომელსაც დღეს შენ განიცდი და გუშინ განვიცდიდით ყველა ჩვენ, შენი ყოფილი ამხანაგები. თუ შენ მოიგონებ, რომ პირველათ მე მესამე დასელი ვარ და მაშასადამე იმ თავითვე ვეკუთვნოდი ს.-დ. პარტიის იმ ჯგუფს, რომლებსაც რომანტიკოსებს ეძახოდენ და რომლებისთვისაც.

Храм, оставленный—все храм,
Кумир, низверженный—все бог.

დამიჯერებ, რომ მე დიდხანს ვერ განვთავისუფლებულიყავი იმ სულიერი ტკივილებისაგან, რომელსაც შენ დღეს განიცდი.

მაშ ასეთ გარემოებაში, ასეთი განცდების შემდეგ, არ შეიძლება ადამიანი გულწრფელი არ იყოს, არ შეიძლება მან პოლემიკა პოლემიკისთვის აწარმოვოს და არა თვით საქმის სიყვარულით, თვით ხალხის ინტერესებისათვის.

და თუ ეს ასეა, მე არა მჯერა, რომ ჩვენს აზრთა გაცვლა-გამოცვლას არ მოყვეს რაიმე დადებითი შედეგი. მე ვერ წარმომიდგენია, თქვენ, ესე-იგი შენ და შენმა ამხანაგებმა და ჩვენ, თქვენმა ყოფილმა ამხანაგებმა, ვერ მოვნახოთ საერთო ენა, ვერ გავაგებინოთ, ვერ შევაგნებინოთ ერთმანეთს ჩვენი გულის ნადები.

რა იყო და რა არის ჩვენი სულიერი ტანჯვების საგანი? რისთვის ვიბრძოდით მთელი ათეული წლები? ბოლოს რამ დაგვაშორა ერთმანეთს? რაზე ვკამათობთ დღეს? ვინ არის ობიექტი ჩვენი წარსულის, აწმყო და მომავალი მუშაობისა?

ეს ჩვენი ქვეყანაა, ეს ჩვენი მშრომელი ხალხია! თქვენცა და ჩვენც მხოლოდ და მხოლოდ მისი ინტერესები გვალაპარაკებს დღეს.

ჩვენში განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შენ მეტის მეტად **პესიმისტურად** ხარ განწყობილი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის აწმყოსა და მომავალზე, ჩვენ კი **ოპტიმისტურად.** ჩვენ გვწამს, რომ შენი პესიმიზმი წმინდაა, რომ ის სრულიად ბუნებრივია. სამაგიეროდ, გთხოვთ დაიჯერო, რომ ჩვენი ოპტიმიზმიც ისეთივე წმინდაა, ისეთივე ბუნებრივი და კანონიერია.

სად არის წყარო როგორც პესიმიზმის, ისე ოპტიმიზმისა?

ადამიანი ყოველიფერს თავისი სულიერი განწყობილებით ზომავს. თუ ის რაიმე ტკივილებსა გრძნობს, მას მთელი ქვეყანა ავათ გონია, თუ ის კმაყოფილი და ბედნიერია—ქვეყანაც კმაყოფილი და ბედნიერი გონია.

ეს კანონია და, რა თქმა უნდა, ჩვენც ვერ ავცდებოდით ამ კანონს.

დიდი ბედნიერები არც უწინ ვიყავით, მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტის თვეებში ყველა ჩვენგანი უბედურად გრძნობდა თავს. ეს ადვილი მისახვედრია. 30—35 წლის განმავლობაში ჩვენ ყველა ერთ იდეალს ვემსახურებოდით, მისთვის სიცოცხლესაც არ ვიშურებდით.. და ბოლოს ულმობელ ისტორიის ულმობელმა განაჩენმა ისეთ ჩიხში ჩაგვაგდო, რომ გამოსავალი ვერ ვიპოვენეთ. ჩვენ იძულებული შევიქენით დაგვეგდო ამდენი წვითა და დაგვით მოპოებული მორალური და პოლიტიკური დოვლათი და შევდგომოდით ჩვენ მიერვე დიდი ხნის წინად შეგინებული და უარყოფილი აზრების რესტავრაციას, მისგან სრულიად ახალი სოციალურ-პოლიტიკური იდეალების შექმნას...

დამეთანხმები, ასეთ მდგომარეობაში პესიმიზმი სრულიად ბუნებრივია... და ისიც ბუნებრივი იყო, რომ ჩვენ ჩვენი პირადი დამარცხება, ჩვენი პირადი განცდები მთელ საქართველოზე გადავიტანეთ. ჩვენ, ს. ს.-დ. პარტიის წევრებმა, რომლებსაც საქართველო და მთელი ქვეყანა უჩვენოდ ვერ წარმოგვედგინა, თავისი საკუთარი დამარცხება მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის დამარცხებათ მივიღეთ, ჩვენი პესიმიზმი განვაზოგადეთ, ჩვენი პირადი უბედურება მთელი ხალხის უბედურებათ გამოვაცხადეთ და ჩვენი პარტიული მტრები, კომუნისტები—ხალხის მტრებათ.

ასეთ მდგომარეობაში იყო ყველა ჩვენგანი საქართველოს გასაბჭოების პირველ პერიოდში. ს. ს.-დ. პარტიის წევრები თავისი საკუთარი განცდების პრიზმაში სჭვრეტდენ საქართველოს მდგომარეობას, თავისი პარტიის დაღუპვას მთელი ხალხის დაღუპვათ აცხადებდენ...

მაგრამ ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლებოდა დიდხანს დარჩენა. რაც უნდა ძვირფასი არსებაც არ უნდა დამარხო, მუდამ არ შეიძლება მის საფლავზე თავდაღმა გდება და ტირილი. თუ ადამიანი ლეში არ არის, ის უნდა დაემორჩილოს ბუნების კანონს, უნდა კრიტიკის თვალით აწონ-დაწონოს თავისი და ქვეყნის მდგომარეობა, თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და შესაფერი დასკვნები გააკეთოს.

როგორც მოსალოდნელიც იყო, ასეთი მდგომარეობიდან პირველად ჩვენი მუშა-ამხანაგები გამოერკვიენ. შექმნილ მდგომარეობას პირველად გაუსწორა თვალი იმ ხალხმა, რომელსაც ფანტაზიორობა არ უყვარს, რომელიც მხოლოდ სინამდვილეს, მხოლოდ ფაკტს უწევს ანგარიშს და არა ცალიერ სიტყვებს, რომელიც იკვებება სინამდვილით და არა თეორიებითა და ფორმულებით.

სიტყვებზე დაჩვეულსა და ფორმულებზე აღზრდილ ინტელიგენტებს უფრო გაუჭირდათ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ისინი უფრო დიდხანს დარჩენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე, დიდხანს ღვრიდენ ცრემლებს დაკარგულ ბედნიერებაზე.

მეც ამ უკანასკნელთა რიცხვში ვერიე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მთელი სამი წელიწადი გონს ვერ მოვსულიყავი, ამ დროს განმავლობაში მთელი ჩემი არსება თალხებში, ჩემს ქვეყანაზე მგლოვიარეთ მეჩვენებოდა. ამ დროს განმავლობაში მე ერთხელაც არ მივსულვარ რვინისგზის სადგურზე. კიდეც დამავიწყდა რკინისგზის არსებობა... და როცა რის ვაი-ვაგლახით რკინისგზის რონოდაში ჩაჯდომა მეღირსა და პირი ბათომის მიმართულებით ვქენი, გული ამიტოკდა; ასე მეგონა მატარებლის დაძვრასთან ერთად გულიც გასკდებოდა...

მაგრამ გავიარე ერთი სადგური, ორი, სამი... დავინახე ხალხი, რომელიც ისევ ისე ძველებურად ფუსფუსებდა, მოძრაობდა, იცინოდა, მხიარულობდა...

— ეს რა ამბავია? რატომ ასე მხიარულებს ეს ხალხი?..რატომ ისიც ჩემსავით არ გრძნობს თავისა და ქვეყნის უბედურებას? გული ბოღმით მევსებოდა.

მაგრამ არ გაუვლია ერთ კვირასაც და მეც ჩამითრია ცხოვრების საერთო ფერხულმა. მეც ვიგრძენი გაახალგაზრდება, ვიგრძენი ჩემს მოდუნებულ ძარღვებში სისხლის ამოძრავება. და თუ გუშინ სადღაც რონოდის მტვრიან კუთხეში დაღვრემილი ვიჯექი და სევდიანათ შევყურებდი ჩქარ მორბენალ ტყესა და ველებს, დღეს მე არაფრით არა ვგევარ ჩაილდ-გაროლდს ან ბარათაშვილის სევდიან ჭაბუკს, რომელიც გარბის თავისი გაუბედურებული სამშობლოდან, დამარხვაც კი არა სურს თავის წინაპართ საფლავებს შორის.

და ჩემი ასეთი გარდაქმნა მოხდა არა ჩეკაში, არა ვისიმე ძალდატანებით, — როგორც ამას ქართველი ემიგრაცია უსაყვედურებს თავის ყოფილ ამხანაგებს,—ათამედ სრულიად ბუნებრივად. და იცი, ძმაო გრიგოლ, სად მოხდა ჩემი ასეთი ფერის ცვალება? ეს მოხდა ტირიფონის ველზე, სადაც მოკაშკაშე მთვარიან ღამის ოთხ საათზე ხოლდის სისტემის ტრაქტორზე მემანქანესთან ერთად ვისხედით და მხიარულის ღიღინით ვხნავდით ხურვალეთელი გლეხის მიწას. იქ, ტირიფონის ველზე, როგორც გველს ტყავი, ისე შემომეცალა ჩემი ძაძა და ფლასი, იქ ვიგრძენი თუ რამდენად ვაჭარბებდი ჩემს გრძნობებში... დიახ, იქ, ტირიფონის ველზე, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, ერთმანეთის წინააღმდეგ დაუსრულებელ ბრძოლაში იღვრებოდა მშრომელი ხალხის სისხლი, დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, არ გაისმის გამხეცებული ადამიანის ხელით გასროლილი თოფის ტყვიის ზუზუნი, იქ მხოლოდ ხოლდის ტრაქტორის გუგუნი არღვევს ღამის მყუდროებას...

ჩემი გარდაქმნა, ჩემი მორალური აღდგომა მოხდა იმავე ტირიფონის ველზე, სადაც მე ფეხით მოვიარე, ჩემის საკუთარის თვალებით ვიხილე ის პირდაპირ ტიტანიური მუშაობა, რომელიც იქ უწარმოებია საბჭოთა ხელისუფლებას უდიდესი სარწყავი არხის გაყვანის საქმით...

ტრაქტორები, სარწყავი არხები, ქარხანა-ფაბრიკები... აი რა გაუკეთებია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას იმ დროს, როცა ჩვენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე ტირილში ვატარებდით დროს და ხალხს, ქართველ მშრომელ ხალხს, ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ვაჯანყებდით. აი რამ მოახდინა ჩემი და, ალბათ, მრავალი ათასი ჩემისთანების მკვდრეთით აღდგენა, აი რამ დაგვაყენა ახალ გზაზე ყველა აქ დარჩენილი შენი ამხანაგები.

აი ჩვენი **ოპტიმიზმის** წყარო...

შენი **პესიმიზმის** წყარო ჩვენ უკვე ვიცით. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ: რით საზრდოობს იგი?

ამის პასუხი შენ უკვე გაქვს მოცემული ერთ შენს წერილში, რომელიც შენ მოგიწერია საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელზეც აქ დღეს თითქმის ყველა ლაპარაკობს... და მაშასადამე, იმედია, არც მე დამემდურები თუ ამ წერილით ვისარგებლებ, რადგანაც უამისოთ შეუძლებელია შენი პესიმიზმის მასაზრდოებელი წყაროების მონახვა.

ამ წერილში ერთად არის თავმოყრილი შენი პესიმიზმის ყველა მიზეზები. და თუ მე შევძელი იმის დამტკიცება, რომ არც ერთ ამ მიზეზს დღეს საქართველოს სინამდვილეში ადგილი არა აქვს, რომ შენი აზრი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ შემცდარია, რომ შენ იკვებები ყალბი ინფორმაციით და ამიტომ შემცდარ დასკვნებს აკეთებ,—მე იმედს არ ვკარგავ, რომ შენ შენებურის გულწრფელობით აღიარებ შეცდომას, ჩვენსავით გაიხდი ძაძაფლასებს, რომელსაც ატარებ იმ საქართველოზე, იმ ქართველ ხალხზე, რომელიც არა თუ სიკვდილს არ ფიქრობს, პირიქით, სცოცხლობს ისეთის ინტენსივობით, რომლის მსგავსიც მას არ განუცდია თავისი ისტორიის არც ერთ ეპოქაში; მიანებებ თავს ტირილს იმ ქართველ ხალხზე, რომელიც ძარღვებ დაჭიმული შებმია თავისი საკუთარი სახელმწიფოს აღმშენებლობის მძიმე უღელს, რომელიც ძლიერის ხელით სჭედავს თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ურყევ საფუძვლებს და გვერდში ამოუდგები მას.

**მიზეზი პირველი:** შენ სწუხხარ ქართული ენის ბედზე. შენ ფიქრობ, რომ მას უდიდესი განსაცდელი მოელის რუსული ენის მხრივ. შენ სწერ:

„უცხო ენას არ უნდა შეუშინდეს შეგნებული მოქალაქე, თუ კი ეს უცხო ენა მისი სამშობლო ძირითადი ენის უბრალო დამატებაა, თავისუფლად შეძენილი დამატებითი იარაღია. მაგრამ თუ ეს უცხო ენა ჩემს დედაენა, ჩემს საკუთარ გრძნობას და სიმდიდრეს სპობს და ანადგურებს, ძალით ართმევს მას ბაზარსა და ასპარეზს, ასეთი უცხო ენა, რასაკვირველია, საშიშზე საშიშია".

მერე სად არის ჩვენში ეს „საშიშზე საშიში" საშიშროება? დღეს არაფერ ამის მსგავს ჩვენში ადგილი არა აქვს. ჩვენში პირველ დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტში სწავლა წმინდა ქართულ ენაზე სწარმოებს. კიდევ მეტს ვიტყვი: ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლები ლექციებს ქართულ ენაზე ისმენენ და ქართული ენის უმისოთ მათ არ იღებენ. ჩვენ უნივერსიტეტში დღეს 151 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი (სომეხი 93, 28 რუსი, 30 ებრაელი, ოსი და სხვა) ქართულ ენაზე ისმენენ ლექციებს და აბარებენ გამოცდებს... ჩვენ დღეს ის კი არ გვაშინებს, რომ რუსული ან სხვა რომელიმე ენა ქართულ ენას დაგვიჩრდილავსო. უფრო ის გვაწუხებს, რომ ქართველი სტუდენტების დიდმა უმეტესობამ რუსული ენა არ იცის, რომ ჩვენი უნივერსიტეტდამთავრებულებს არ ეხერხებათ რუსული ენაზე წიგნებით სარგებლობა და ის კი, სხვა ენების უცოდინარობის დროს, საშინლად უშლის ხელს მის მეცნიერულ განვითარებას... აი რა შეადგენს დღეს ჩვენი ზრუნვის საგანს... ეს იმდენად აშკარაა, რომ მასზე სიტყვის გაგრძელება მეტად მიმაჩნია.

შენ ეს ნორმალურ მოვლენად მიგაჩნია. ჩემის აზრით, ეს დიდი უბედურებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შენი ასეთი იდეალი განხორციელებულია. მაშ რა გატირებს ქართული ენის ბედზე? რატომ ითალხები? რატომ სტირი რაღაც მოჩვენებულ უბედურებაზე?

**მიზეზი მეორე:** შენ გვეუბნები: როგორ არ ვიმჯავრო, „როცა საქართველოში ქართულ ადგილზე და ასპარეზზე რუსული პრესა ფართფაშობს, როდესაც რუსული წიგნი და სხვადასხვა ჯურის „ზაკნიგები" თუ მეტი არა დღეს მინახევრე გამხდარა ქართული წიგნისა და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვისა... ქართული წიგნის მთელი ზვინები და მთები უნდა იდგმებოდეს დღეს. ქართულ ენაზე სასწრაფოთ უნდა გამოიცეს იმდენი ქართული ლიტერატურა, რამდენიც აქვთ ბულგარლებს ან ფინებს".

აქ საქმის სრულ უცოდინარობას იჩენ, პატივცემულო გრიგოლ. დღეს ქართულ ენაზე იმდენი ქართული წიგნი გამოდის, რამდენიც, ვფიქრობ, საქართველოს მთელი მისი ისტორიის განმავლობაშიაც არ ღირსებია.

1925 წელს საბჭოთა საქართველოში, ქართულ ენაზე გამოუციათ 650 სახელწოდების წიგნი, 2.435.390 ტირაჟით. 1926 წელს გამოუციათ 610 სახელწოდების წიგნი—1.555.100 ტირაჟით. მიმდინარე 1927 წლის პირველ სამ თვეში გამოცემული წიგნების სურათი შემდეგია: 1) იანვარში გამოუციათ 78 წიგნი 168.750 ტირაჟით; 2) თებერვალში—60 წიგნი 188.450 ტირაჟით; 3) მარტში გამოუციათ 59 წიგნი, 199.800 ტირაჟით. სულ ორ წელსა და სამ თვეში საქართველოში, ქართულს ენაზე, გამოუციათ 1457 სახელწოდების წიგნი 4.547.490 ტირაჟით.

როგორ გგონია, ძმაო გრიგოლ, ამდენი წიგნებიდან შეიძლება თუ არა დაიდგას „ქართული წიგნების ზვინები და მთები", როგორც შენ მოითხოვ? მაშასადამე შენი იდეალური მოთხოვნილება აქაც მთელი ათასი პროცენტით არის დაკმაყოფილებული. შენ ამას ქ. კურსკიდან ვერ ხედავ. ჩვენ კი ყველა ამას ვხედავთ და როცა წიგნის მაღაზიის ვიტრინებს ვათვალიერებთ, თავი რაღაც საზღაპრო ქვეყანაში გვგონია.

სტამბა? ქართული სტამბა? ესეც ხომ რაღაც საზღაპრო რამეს წარმოადგენს! ალბათ შენმა ინფორმატორებმა არც კი იციან, რომ კამოს ქუჩაზე, № 68, არსებობს თბილისის ალმასკომის სტამბა. აქ არის ათი ასაწყობი და ორი რატაციონის მანქანა, რაც სასტამბო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ამ რატაციონებს შეუძლია დაბეჭდოს არა მარტო ქართული წიგნების „ზვინები და მთები", არამედ დაბეჭდოს ყველა წიგნები და გაზეთები, რაც კი რასტოვიდან დაწყებული ერევნამდე იბეჭდება.

არის თუ არა ეს ქართული წიგნისა და ქართული სტამბის ტრიუმფი?

მაშ რათ დათალხულხარ ასე მწარეთ? რათ სტირი ქართული წიგნისა და სტამბის აწმყოსა და მომავალზე?

**მიზეზი მესამე.** შენ გვეუბნები: როგორ არ ვიყო პესიმისტი,

„როდესაც ერთ ქართულ უნივერსიტეტზე პაწია საქართველოში ორი მაღალი რუსული სკოლა მოდისო?"

ეს „მიზეზიც" ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც მეორე „მიზეზი". აქაც ციფრებმა გაგვასამართლოს.

საქართველოს მოსახლეობა მარტო ქართველებისაგან კი არ შესდგება. აქაც, როგორც ყველგან, არსებობს ნაციონალური უმრავლესობა და ნაციონალური უმცირესობა. საქართველოს 2.453.670 მცხოვრებიდან ქართველები შეადგენენ 1.743.973 სულს ან 71,1%. დანარჩენი 709.697 სული (28,9%) სხვადასხვა ერები.

საქართველოში, მის დედა ქალაქში, სამი უმაღლესი სასწავლებელია: საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 6790 სტუდენტით, პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 2124 სტუდენტით და კომუნისტური უნივერსიტეტი 292 სტუდენტით. ამ რიგათ საქართველოს ტერიტორიაზე ყველა უმაღლეს სასწავლებელში ითვლება 9.106 სტუდენტი. აქედან ქართველია 7008 ან სტუდენტთა მთელი რიცხვის 75,2%.

აქედან აშკარაა, რომ საქართველოში მთელ მოსახლეობის 71,1% უმაღლესი სწავლის მიღების საქმეში სარგებლობს ამ საქმეზე გადადებული საერთო თანხის 75.2%, ესე-იგი იღებს ამ ჯამის 4.1 % იმაზე მეტს, რაც მას ერგება. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ, ქართველებს, არავითარი საბუთი არა გვაქვს ამ შემთხვევაში თავი შეურაცხყოფილად ვიგრძნოთ და რაღაც საშიშროებაზე ვილაპარაკოთ.

ასეთია ციფრები. მაშ რა გატირებს, პატივცემულო გრიგოლ? რატომ მისცემიხარ პესიმიზმს? რატომ უგალობ „სულთათანას" საბჭოთა საქართველოს?

**მიზეზი მეოთხე.** შენ მეტყვი: როგორ არ უნდა მტკიოდეს გული,

„როდესაც ქართველი სამეცნიერო აკადემიის მაგიერ წმინდა რუსულ სამეცნიერო აკადემიას საკავშიროთ აცხადებენ და საკავშირო ხარჯზე გადაყავთ, ესე-იგი მას ქართულად აცხადებენო".

ეს რა მისმის? სამეცნიერო აკადემია რატომ უნდა იყოს მარტო რუსული? რატომ უნდა შეადგენდეს იგი მარტო ველიკოროსების კუთვნილებას? ის თვითმპყრობელობის დროსაც მთელ ყოფილ იმპერიაში მობინადრე ერიბს ეკუთვნოდა. ყველა იმათ ინტერესებს ემსახურებოდა. დღეს მისი რუსულ აკადემიათ გამოცხადება პირდაპირ დაჩაგვრა იქნებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების 99 პროცენტისა. ამ აკადემიის შენახვაში, შენის სიტყვებით, რომ ვილაპარაკოთ, „ჩაქსოვილია ტყვეთ ქმნილი ქართული დოვლათი, ქართული სისხლის და ქართული შემოქმედების წვლილი". და ეს ყველა ერების საკუთრება აკადემია მარტო ერთ რომელიმე ერს, თუნდაც ველიკოროსებს უნდა მისცემოდა? ალბათ შენ არაფრად აგდებ სამეცნიერო აკადემიის უდიდეს ღვაწლს ჩვენი, წმინდა ქართული მეცნიერების წინაშე. თუ ეს ასეა, გირჩევ მოიგონო. დაიწყე მარი ბროსედან და გაათავე თვით ნიკო მარის შესანიშნავი გარკვლევებით, რაც შეადგენს ქართული მეცნიერების სულსა და გულს და, რაც ამ აკადემიის უიმისოთ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. შენი წერილიდან სჩანს, რომ კომუნისტურ ხელისუფლებას არსებული აკადემია უნდა დაეტოვებია ველიკოროსების კუთვნილებად და ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოში ახალი სამეცნიერო აკადემიები გაეხსნა. მერე, როგორი იქნებოდა ეს აკადემია? ვინ უნდა დაგვეჯინა მასში მეცნიერების ქურუმებათ? შენ, ალბათ, არ იცი, რომ ერთი უნივერსიტეტისთვი-

საც ვერ მოგვინახავს საკმაო მეცნიერული ძალები და ქართული სამეცნიერო აკადემია, ესე-იგი მეცნიერების მეტრი, რომ შეგვექნა, სად უნდა გვეშოვნა ქართული აკადემიკოსები? ხომ არ გგონია, რომ ასეთ შემთხვევაში მარტო დეკრეტების გამოცემა უშველის საქმეს?

მაგრამ განვიხილოთ შენი პესიმიზმის სხვა მიზეზებიც.

**მიზეზი მეხუთე**. შენ სწერ:

„უზარმაზარი ვალი აწევს რუსეთს საქართველოსი და ეს ვალი უნდა გადაიხადოს თუ მას გულწრფელად სურს ქართველ ხალხის წრფელი ძმობა და მეგობრობა“.

ამ ვალის გადახდაზე ლაპარაკი ახლა მეტისმეტად დაგვიანებულია, რადგანაც თვითმპყრობელობა, რომელსაც, შენის აზრით, ჩვენი დიდი ვალი ედო, კარგა ხანია რაც გარდაიცვალა. მაგრამ ისიც კი საეჭვოა: ედო თუ არა მას ასეთი ვალი? მე, სამწუხაროდ, ამ საკითხზე ამ დროებით. მაინც, არ შემიძლია უტყუარი ციფრებით დაგიმტკიცო ჩემი ასეთი შეხედულება. მაგრამ გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ თვითმპყრობელ რუსეთს ამ მხრით ჩვენი დიდი არაფერი დაედებოდა.

ყოველ შემთხვევაში, როცა რუსები ჩვენში შემოვიდა, მაშინ, ისინი ჩვენგან გასატანს ვერაფერს იშოვნიდენ თუ ასეთად არ დავთვლით კავალენსკის მიერ მიღებულ ქროთამებსა და მის მიერ გაზიდულ ნოხ-ფარდაგებსა და ძვირფას ქვებს. იმ დროს, იმდენად დარბეული და აწიოკებული იყო საქართველოს სამეფო, რომ მას თვით რა ქონდა, რომ სხვებისთვის მიეცა. შემდეგ თუ რამე შემოსავალი გვქონდა, გასავალიც ხომ დიდი იყო? მაგრამ საქმე ამაში როდია, საქმე ის არის თუ რატომ უნდა გადაიხადოს დღევანდელმა რუსეთმა თვითმპყრობელობის ვალი? თუ ჩვენ რუსეთის ყოფ. იმპერიაში ყველა მობინადრე ერებთან ერთად უარი გამოუცხადეთ ევროპის სახელმწიფოებს მათი ვექსილებით მოცემულ ვალების გადახდაზე, თუ ჩვენ აქ არ ვიცანით თავი მოვალეთ მეფის ვალების განაღდების საქმეში, ჩვენ რათ და ვინ უნდა აგვინაზღაუროს იმავე თვითმპყრობელობის ვალები?

ამ საგანზე შენი მსჯელობა ერთობ ორგინალური და თანაც ერთობ უსაფუძვლოა.

შენ ასე მსჯელობ:

„ასი წლის განმავლობაში მიღებული ეკონომიური და კულტურული ჭრილობა უნდა ორიოდე ათეულ წლებში მოირჩინოს საქართველომ“... შენი ასეთი მოთხოვნილება სრულიად გასაგები და სამართლიანია, მაგრამ შენ საკითხის სიმძიმის ცენტრი სულ სხვაგან გადაგაქვს. ვისი ხარჯით უნდა მოირჩინოს საქართველომ ეს ჭრილობა? შენ გვეუბნები:

„მკურნალების ხარჯი დამნაშავემ და მისმა მემკვიდრემ უნდა გადაიხადოსო“.

რომ რუსეთის თვითმპყრობელობა დამნაშავე იყო, რომ მან უდიდესი ჭრილობები მიაყენა რუსეთში მობინადრე ყველა ერებს, ეს უდავოა მაგრამ ვინ არის მისი მემკვიდრე, რომელმაც უნდა აუნაზღაუროს ყველა ამ ერებს და კერძოთ საქართველოს **მკურნალობის ხარჯი?** შენ თვითმპყრობელობის მემკვიდრეთ, ალბათ, ველიკოროსები მიგაჩნია. ეს კი უდიდესი შეცდომაა. თვითმპყრობელი რუსეთის მემკვიდრე ვართ ყველა ჩვენ, როგორც ველიკოროსები, ისე უკრაინელები, ბელოროსები, ქართველები, სომხები და სხვები... მაშასადამე, ჩვენვე უნდა ავუნაზღაუროთ ჩვენს თავს ეს „მკურნალობის ხარჯი“. მაგრამ შენ გავიწყდება, რომ ჩვენ უკვე ავინაზღაურეთ ჩვენი ვალი, უკვე გავიმრთელეთ ჩვენი ჭრილობები. ჩვენ საერთო ძალით მოვსპეთ ორთავა არწივი, რომელიც ერთნაირად სწოვდა სისხლს რუსეთში მობინადრე ყველა ერებს და ყველამ ერთნაირად დავეპატრონეთ მის დიდ დოვლათს. შენ კი ისე წარმოგიდგენია თითქოს, რუსეთის თვითმპყრობელობამ გაგვძარცვა და ნადავლი ველიკოროსებს უანდერძა და მხოლოდ ისინი არიან მოვალენი ჩვენი ვალების ანაზღაურებაშიო.

სინამდვილეში ის ასე არ იყო. სინამდვილე გვეუბნება, რომ ორთავა არწივი, რომელიც რუსეთის ყველა ერებს კორტნიდა, გადმოფრინდა ამიერ-კავკასიაში, ჩვენც მოგვწვდა და დაგვიმონა. მაშ რატომ უნდა გადაგვიხადონ ველიკოროსებმა ან სხვა რომელიმე ერებმა, ის, რაც თვითმპყრობელობამ წაგვართვა? სულ სხვა იქნებოდა, რომ ამ ერებში ვინმე გამოსულიყო ამ ორთავა არწივის მომხრეთ და მისი მემკვიდრეობა მიეთვისებია. მაგრამ იგი რუსეთში მობინადრე ყველა ერების შეერთებულმა რევოლიუციონურმა ენერგიამ მოსპო ისე, რომ მას მემკვიდრეც არ დარჩენია, თუ ასეთად არ მივიღებთ ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს ან რომანოვის გვარეულობის რომელიმე სხვა წევრებს, რომლებიც დღეს ევროპის ბურჟუაზიის საფარველ ქვეშ ემალებიან საბჭოთა ყველა ერების შეერთებულ რისხვას. მოსთხოვონ ქართული ემიგრაციის ლიდერებმა ეს ვალი ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს, რომელსაც ასე ეარშიყება ნ. რამიშვილი ქართველი ხალხის სახელით. იქნება ნიკოლოზ რომანოვის მიერ გენერალ მაზნიაშვილზე გადაცემულ 10.000 ფრანკი ამ შენ მიერ დასახელებულ ვალში არის მიღებული.

ნუ გამიჯავრდები, გრიშა, თუ გეტყვი, რომ ეს თვითმპყრობელობისა და მის მემკვიდრეების მიერ ჩვენი ვალების გადახდაზე ლაპარაკი წმინდა წყლის კურიოზად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ კიდევ უფრო კურიოზულია შენი წერილის შემდეგი ადგილი: — „ტოლსტოისა და მენდელეევის გენიაში ისე, როგორც პუტილოვსა და სამხრეთ - ქარხნებში, რუსულ მეცნიერებასა და ხელოვნებაში ჩახარჯულია და ჩაქსოვილი ტყვეთ ქმნილი ქართული დოვლათი, ქართული ტვინის, ქართული სისხლის და ქართული შემოქმედების წილილი. ყველა ამის დაბრუნება არ შეიძლება, მაგრამ სამაგიეროდ ნივთიერ ანაზღაურებას ვინ დაუდგება წინ“?

ეს აზრი მეტის-მეტად ახალია და თანაც მეტის-მეტად კურიოზული. ჩემს ახალგაზრდობაში პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეებში ერთობ პოპულიარული იყო ზღაპარი იმის შესახებ, რომ რუსებს ერთი გენიოსი ყავდათ პეტრე დიდის სახით და ისიც ქართველი მეფის, მგონი, თეიმურაზის, უკანონო შვილი იყოვო. მე ეს ზღაპარი მაშინ ნაციონალური თავმოყვარეობის ნაცოდვილარი მეგონა. და აბა მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი დრო, რომ ს. ს.-დ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამაზე კიდევ უფრო კურიოზულ ზღაპრებს შესთხზავდა და რუსეთის მოთხოვნი ებას წარუდგენდა: ტოლსტოებისა და მენდელეევების შექმნაში ქართული შემოქმედება: ქართული სისხლი და ტვინია ჩაქსოვილი და იგი აგვინაზღაურეო...

მერე ღირს, პატივცემულო გრიგოლ, ასეთი თამასუქების თხზვაზე დროს დაკარგვა? ღირს ასეთი მოჩვენებულ რამეთი თავის მოტყუილება და მითი თავისი პესიმიზმის ზრდა?

**მიზეზი მერვე**. შენ სწერ:

ჩვენებური ნავთისა და ბამბის საქმე კვლავინდებურად მოსკოვმა განაგრძო. აგზავნის ორეხოვო-ზუევისა და იაროსლავის მანუფაკტურაში და მერე ათკეც ნადებით გამოგვიგზავნიან „ვსეროსიისკი სინდიკატის“... ხელით“.

ეს მართალია. მაგრამ ეს ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობით დღეს უპასუხისმგებლო თვითმპყრობელობისაგან. ორეხოვო-ზუევოსა და იაროსლავის მანუფაქტურა შექმნა თვითმპყრობელობამ, რომელიც ცენტრში, მისთვის საიმედო ადგილზე, აშენებდა ქარხანა - ფაბრიკებს და არა საქართველოში ან სხვა განაპირა ადგილებში. ეს უკანასკნელი მხარეები თვითპყრობელობამ გადააქცია მხოლოდ ნედლი მასალის მიმოწოდებელ ბაზად და შემდეგ ამ მისი ნედლი მასალისაგან დამზადებული ფაბრიკატების გამსაღებელ კოლონიებათ. ეს გარემოება ძალა-უნებურად უნდა დარჩეს ძალაში დღესაც, რადგანაც ქარხანა-ფაბრიკები ორეხოვო-ზუევსა და იაროსლავშია თავმოყრილი...

შენ გვებნები: — „ასეთი ეკონომიკა ვერ გამოდგება საიმედო საფუძვლად ქართულ, სომხურ და სხვა ერების კულტურისთვისო“.

შენ აქაც დაიგვიანე შენი კრიტიკით. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს შეიგნო თავისი გაჩენის პირველ დღიდანვე და ენერგიულად შეუდგა ამ ნაკლის გამოსწორებას.

ამიტომ არის, რომ საქართველოში და სხვა განაპირა რესპუბლიკებში, რომლებიც უწინ თვითმპყრობელი რუსეთის კოლონიების როლს თამაშობდენ, დღეს ის აშენებს ფაბრიკებსა და ქარხნებს... და სულ ახლო მომავალში ჩვენ ჩვენს საკუთარ ქარხანა - ფაბრიკებში დავამუშავებთ ჩვენს ნედლ მასალას და ჩვენს საკუთარ ფაბრიკატებს გავიტანთ საბჭოთა მთელი კავშირის ბაზარზე და კავშირს გარეთაც.

თუ უწინ თვითმპყრობელობა პერიფერიების ხარჯით ამდიდრებდა ცენტრს, დღეს კომუნისტები თვით ამ პერიფერიებში იწყებენ მრეწველობა - წარმოებას, პერიფერიებს აძლევენ სრულ საშუალებას დაამუშაონ თავისი ნედლი მასალა... ამის უტყუარი საბუთია ზაჰესი, აბაშის, აჭარის-წყალის, რიონის და სხვა ელსადგურები, ამისი საბუთია მაუდის, აბრეშუმის და სხვა ქარხნების გაჩენა საქრათველოში.. ეს იაჟჲი ფაქტია, რომელსაც ვერ უარყოფს საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერიც კი.

ძალიან დაგვიანებულია, გრიგოლ, შენი კრიტიკა, როცა გვეუბნები: — „საქართველომ ორიოდე ათეულ წელში უნდა აღიდგინოს ასჩვიდმეტი წლის დანაკლისი ეროვნულ ეკონომიკაში და კულტურაშიო".

შენი პესიმიზმის ეს წყაროც ამოწურულია. საბჭოთა საქართველოს საგეგმო მუშაობა შენს სურვილებზე უფრო ჩქარის ტემპით მიდის წინ. ის მხოლოდ ათ წელიწადს ვარაუდობს ასეთი მუშაობის შესრულებას. და ჩვენ გვწამს, რომ ის ამას შესძლებს.. დღეს ჩვენს თვალწინ სწარმოებს პირდაპირ ტიტანიური მუშაობა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში და თუ საქმე ასეთი ჩქარი ტემპით წავიდა, ათი წელიწადი სრულიად საკმაო იქნება იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა დაიმუშოს თვითმპყრობელობის მიერ მიყენებული ტკივილები და აინაზღაუროს ის, რაც ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში დაკარგა.

* * *

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, ძმაო გრიგოლ, რომ შენი **პესიმიზმის** ყველა წყაროები უკვე დამშრალია, რომ საქართველოს დღეს სატირალი არაფერი აქვს, რომ დღევანდელი შენი სევდა - ტირილი სამღვრთო წერილის იმ სცენას გვაგონებს, როცა მოწაფეები გულამომჯდარი დასტირიან ჯვარცმულ მასწავლებლის საფლავს და იმას კი დაუგდია სიკვდილის სარეცელი, მკვდრეთით აღმდგარა და წასულა. შენც ისე დგეხარ ამ შენი ფანტაზიით შექმნილი ქართველი ხალხის საფლავის წინ და დასტირი მის ბედს მაშინ, როცა მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა არც კი ამჩნევს შენსა და სხვა შენისთანების ცრემლებს და მედგრად მიიმართება წინ პროგრესისა და კულტურის გზაზე, როცა ქართველი ხალხი მთელი თავისი ენერგიით ქმნის უკეთეს მერმის, სჭედავს თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მაგარ საფუძვლებს და თან უახლოვდება სოციალიზმს, რომლის წიაღშიც ის სხვა თავისუფალ ერებთან ერთად დაიჭერს შესაფერ ადგილს.

ეს ასეა, ძმაო გრიგოლ, დამიჯერე!

რას გიკარნახებენ დღეს შენ და ყველა შენსავით დათალხულ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს მკვდრეთით აღმდგარი საქართველოსა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები?

ისინი შენ და თქვენ გიკარნახებენ დაანწიოთ თავი პესიმიზმს, გამოერკვეთ რომანტიზმის ბურუსიდან, დაუბრუნდეთ თქვენს ქვეყანას, ამოუდგეთ გვერდში ქართველ მშრომელ ხალხს, შენს ყოფილ მოწაფეებსა და ამხანაგებს —მუშებსა და გლეხებს. ძმაო გრიშა! შენი და თქვენი ადგილი აქ არის დამიჯერეთ. მოდით სანამ გვიან არ არის! ჩვენს უნივერსიტეტში შენზე უფრო ნაკლებ მომზადებული შენი ყოფილი ამხანაგებიც კი ჩვენი ახალგაზრდობის სასარგებლოდ მუშაობენ. ქართველი პატრიოტი ხარ? იყავი. ამას არავინ არ გიშლის. მაგრამ რა პატრიოტობაა, რა ქვეყნის სიყვარულია, სადღაც შორს მის ბედზე ტირილი და ჩვენებური, ძველებური, მანეთიანი კრიტიკისა და ოპოზიციის წარმოება. შეიგნეთ, ადამიანებო, რომ დღეს ის დრო კი არ არის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყრილობაზე რომ დემოგოგიის ხუხულებს ვაშენებდით და მანეთიან ოპოზიციას ვაწარმოებდით...

ამით ვათავებ ამ დროებით შენთან ლაპარაკს. დამიჯერე: შენი და საერთოთ თქვენი პესიმიზმის ყველა წყაროები დამშრალია.

მიიღე ძმური სალამი.

**ყარიბი.**

# ჩინეთის გარშემო

დღეს ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა არის მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი; მტერი თუ მოყვარე, ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობას. ეს ადვილი გასაგებიცაა: ერთის მხრივ ჩინეთის რევოლიუცია სიკვდილს უქადის საერთაშორისო იმპერიალიზმს, ხოლო მეორეს მხრივ თითქმის საბოლოოდ სწყვეტს საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრობის ბედს. ჩინეთის რევოლიუციის ასეთი დიადი მნიშვნელობა კარგად აქვთ შეგნებული როგორც ევროპის პროლეტარიატს ისე მის მოწინააღმდეგე მტრის ბანაკს, — მსუნაგ იმპერიალისტებს, და მიტომ არის რომ ჩინეთში მომხდარ ამბების გამო დღეს ევროპაში სწარმოებს ამ ორი მოწინააღმდეგე ძალთა. შორის ჭიდილი; ერთის იდეალია ჩინეთის რევოლიუციის ჩაქრობა, დამარცხება, ხოლო მეორეს მის გაძლიერება და საბოლოო გამარჯვება.

როგორია ერთის ან მეორე მხარის საქმიანობა. მათი როლი ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. თავიანთ მიზნებისა და ზრახვების განსახორციელებლად? იმპერიალისტები არ კმაყოფილდებიან ნანკინში მათ მიერ მოწყობილ სისხლის ღვრით, რასაც შეეწირა რამოდენიმე ათას მებრძოლ ჩინელთა და მშვიდობიან მოქალაქეთა სიცოცხლე; ჯერ კიდევ არ გამშრალა მათ მიერ დანთხეული სისხლი ნანკინის არე-მარეში და იმპერიალისტები კიდევ ემზადებიან ჩინეთზე ახალი თავდასხმისათვის, ამ მიზნით მათ შეიმუშავეს ულტიმატუმი ჩინეთის ეროვნული მთავრობისათვის წარსადგენად: ულტიმატუმი მოითხოვს ნანკინში მომხდარ ამბების გამო „უცხოელების" ზარალის ანაზღაურებას; ამაზე შორს განა ოდესმე წავა სისხლიან იმპერიალისტების მზაკრული პოლიტიკა?! ნანკინში თვითონ მოაწყვეს სისხლის ღვრა კონტრრევოლიუციისა და რუს თეთრ-გვარდიელთა დახმარებით, გაანადგურეს ამ ვეებერთელა ქალაქის სიმდიდრე და დოვლათი და მათვე ყოფნის გამბედაობა ხმა ამოიღონ რაღაც „ზარალის" ანაზღაურების შესახებ; რა არის ეს თუ არა სამზადისი და მიზეზი ჩინეთზე ახალი თავდასხმისათვის? ეს აშკარათ ახალი მუქარაა კიდევ ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ; მიტომ არის, რომ იმპერიალისტები ჩინეთში დღითი-დღე აძლიერებენ სამხედრო ნაწილებს; უცხოეთის ჯარების საერთო რიცხვი შანხაიში ამჟამად უდრის 28.000 კაცს, სამხედრო გემები კი 40-დე; ერთი სიტყვით რევოლიუციონური ჩინეთი დღეს სალტესავით რკალშემორტყმულია ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ჯარებით, რომელთაც გვერდში უდგას ჩინეთის კონტრევოლიუცია, რომელმაც მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და ფიქრობს უცხოელთა ჯარების დახმარებით გადავიდეს შეტევაზე ხუნანის პროვინციებში, მაგრამ ეს იქნება მომაკვდავ ორგანიზმის უკანასკნელი ფართხალი, მისი საბოლოო ამოკვნესა, ამის თავდებია ჩინეთის რევოლიუციონურ ლაშქრის დღითი-დღე ზრდა და ახალი გამარჯვებები.

როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, არც ინგლის-საფრანგეთის მუშათა კლასი შეჰყურებს ჩინეთის ამბებს გულზე ხელებ დაკრეფილი: ის ერთსულოვნად კიცხავს ჩინეთში იმპერიალისტების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედე-

ბას და სასტიკად ილაშქრებს ჩინეთის ინტერვენციის წინააღმდეგ; კოლონიალურ ერთა ჩაგვრასთან მებრძოლ ლიგის სესიამ მიიღო დადგენილება ჩატარდეს ყველგან იმპერიალისტების წინააღმდეგ დიდი საპროტესტო დემონსტრაციებით ჩინეთში მათ მიერ ჩადენილ თავხედობის გამო. ჩინეთის რევოლიუციის ნორმალური მიმდინარეობა ბევრად არის დამოკიდებული ევროპის მუშათა კლასისაგან; რამდენათ ძლიერი იქნება ამ უკანასკნელის პროტესტი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რამდენად დიდი იქნება მისი ყურადღება და სიმპატია ჩინეთის რევოლიუციისადმი, იმდენად სუსტი იქნება ის მუქარა და ახალი ნაბიჯები, რომლის გადადგმას აპირებენ იმპერიალისტები ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ; არასოდეს არ ყოფილა ევროპის მუშათა კლასის ხმა ძალადობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საჭირო ისე, როგორც დღეს, როცა წყდება არა მარტო 400 მილიონიან ჩინეთის ხალხის ბედი, არამედ საბოლოოდ ირკვევა მდგომარეობა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობისაც, რომელსაც შედეგად უნდა მოყვეს აგრეთვე ევროპის მუშათა კლასის განთავისუფლებაც მჩაგვრელთა ბრჭყალებისაგან

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ იმპერიალისტებს შორის არ არის სრული შეთანხმება ჩინეთში მომხდარ ამბების გარშემო, იაპონია და ამერიკა ორჭოფობს, ძნელია იმის თქმა თუ როგორი იქნება ამ ორი სახელმწიფოს საბოლოო პოზიცია ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის გარშემო. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი პოზიცია უფრო გამორკვეულია: ბრიანმა პარლამენტის შეკითხვაზე განაცხადა, რომ „საფრანგეთის მდგომარეობა ჩინეთში მშვენიერია“, ამასთან ერთად ბრიანმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთს არ უდევს წილი ნანკინში მომხდარ სისხლის ღვრაში. და არც საფრანგეთისათვის დღევანდელ პირობებში ხელსაყრელია გაიზიაროს ჩინეთში ინგლისის პოლიტიკა; მისთვის უფრო სასარგებლოა მოქმედების თავისუფლების შენარჩუნება; მაგრამ ამ გარემოებამ დიდათ არ უნდა გვაიმედოს—იმპერიალისტები ყოველთვის მონახავენ საერთო ენას რევოლიუციონურ ჩინეთის წინააღმდეგ, თუ მათ თვითნებობას და სურვილებს ლაგამი არ აუდო თვით ჩინეთის რევოლიუციონურმა ლაშქარმა და ევროპა-ამერიკის მუშათა კლასმა.

ჩვენ სულ მალე გავხდებით მოწმე ჩინეთში კვლავ დიდი ამბების, რასაც შედეგათ მოყვება რევოლიუციის ახალი გემარჯვებები, ამის საწინდარია ჩინეთის ხალხის ძლიერი ნებისყოფა, რევოლიუციისა და ეროვნულ მთლიანობისათვის განწირული სულისკვეთება...

**მიმომხილველი.**

# საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში

## მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა

სატყეო ტრესტმა გახსნა მეორე ქარხანა მარელისში (დიდ ვაკეში) გრეხილ ავეჯეულობის დასამზადებლად.

თვითმპყრობელი მთავრობა დიდათ არ იტკივებდა თავს რუსეთში მრეწველობის განვითარებისა და გაჯანსაღებისთვის. გარდა საერთო ჩამორჩენისა რუსეთის მთასაქართველოში ამ საერთო ტენდენციას ზედ ერთოდა პოლიტიკური მოსაზრებები და ჩვენში ქარხანა - ფაბრიკები ხომ თითქმის სრულიადაც არ იყო. რაც შეეხება გრეხილ ავეჯეულობის წარმოებას, ის არა თუ ჩვენში, მთელ რუსეთის იმპერიაშიც არ იყო და რუსეთი მისთვის საჭირო ავეჯეულობას ვენიდან იღებდა, უმეტეს ნაწილად „ტონეტის“ ფირმის ნაწარმოებს.

ილუპებოდა საუკეთესო ხარისხის წიფელა საქართველოში, ფუჭდებოდა, უსარგებლოდ ლპებოდა ტყეებში და ამავე დროს წიფლის ავეჯეულობას ვენიდან ვეზიდებოდით.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების და საბჭოთა კავშირში აღმშენებლობითი მუშაობის გაცხოველების თანავე ამ საქმესაც მიექცა საჭირო ყურადღება და პირველსავე წლებში დაიწყო გრეხილ ავეჯეულობის მზადება პენზაში, ჩრდილო კავკასიაში და კერძოთ საქართველოში.

დღემდე საქართველოში ეს წარმოება ვერ იყო დაყენებული საჭირო ნიადაგზე. მას კუსტარული ხასიათი ქონდა.

1924 წელში ჩაეყარა საფუძველი მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანას. უმეტესი ნაწილი მანქანებისა შემოტანილ იქნა საზღვარ-გარეთიდან, ხოლო ორთქლის ქვაბი და მთელი რიგი მოწყობილობებისა იქნა დამზადებული რუსეთში და საქართველოში. დღეს ქარხანა უკვე მუშაობს და ამ მოკლე ხანში შესძლებს თავის ნორმალურ წარმოების მიღწევას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ქარხანა ააგო მარელისის რაიონში, სადაც გლეხობა მეტად გაღატაკებულია, სადაც უმეტესი ნაწილი გლეხობისა საკვებ სიმინდს ყიდულობს, სადაც თითქმის სულ არ არსებობს ვაკე ადგილები და მთების ფერდობზედ დამუშავებული მიწა გლეხებს არ აძლევს ნახევარი წლის სარჩო სიმინდსაც კი.

მარელისის გლეხობის მდგომარეობა ძლიერ მოხდენილათ დაახასიათა ქარხნის მუშათა წარმომადგენელმა შემდეგი სიტყვებით: „დღემდე ერთი მუდმივი ფიქრი გვქონდა, ფიქრი გადასახლებაზე და დღეს კი საბჭოთა მთავრობამ შეგვანარჩუნა ჩვენი კერა, მოგვცა ცხოვრების სალსარი“-ო.

მართლაც, უაღრესად ძნელ მდგომარეობაში იყო დიდ ვაკეს ახლო მდებარე სოფლები და ქარხნის გახსნამ და წიფელას დამუშავების დაწყებამ მისცა მათ ცხოვრების საშუალება.

ქარხანამ უნდა დაამზადოს დღიურად ექვსასი ერთეული, რომელსაც დაახლოებით დასჭირდება წლიურად 300.000-მდე კუბიკური ფუტი ნედლი მასალა და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ადგილობრივ გლეხობას ხის მოჭრაში, ჩამოტანაში და რონოდებზე დატვირთვაში ეძლევა 40 კაპეიკამდე კუბიკურ ფუტში გამოდის, რომ 120.000 მანეთი ყოველ წლიურად დარჩება ადგილობრივ. გლეხობის ხელში და ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფს 500—600 ოჯახს.

გარდა ამისა, თვით წარმოებას დასჭირდება არა ნაკლებ 300 კაცისა და ამგვარათ 800—900 გლეხის ოჯახი იქნება ჩაბმული მუშაობაში.

ზემოდაღნიშნულიდან ცხადია, თუ რამდენად დიდათ მნიშვნელოვანია ადგილობრივ გლეხობისათვის გრეხილ ავეჯიულობის ქარხნის გახსნა.

მეორე მხრით ეს ქარხანა მოგვცემს სრულ საშუალებას არ შემოუშვათ საბჭოთა კავშირში საზღვარ-გარეთული გრეხილი ავეჯეულობა.

გრეხილ ავეჯეულობის დამზადება თავის თავად შესამჩნევად უფრო რთულია, ვიდრე ტკეჩების დამზადება, ბორჯომის ქარახანა იძლევა სრულიად ერთნაირ ფაბრიკატს ტკეჩს, მარელისის ქარხანა კი შედარებით უფრო სხვადასხვაფრივ ფაბრიკატებს იძლევა; ბორჯომის ქარხნის ფაბრიკატი ტკეჩი ერთობრივია, მარელისის ფაბრიკატი, მხოლოდ უბრალო სკამიც რომ ავიღოთ, მთელ რიგ ნაწილებისაგან შესდგება და თანაბრად ამისა, მარელისის ქარხანა თხოულობს მეტ ყურადღებას, მეტ დახელოვნებულ მუშებს და შემდეგი ქარხნის განვითარება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რამდენათ შევძლებთ სხვადასხვა გვარ პროდუქციის გამომუშავებას.

ამ გარემოებასაც თავიდანვე ექცევა საჭირო ყურად-

ღება და არის სრული იმედი, რომ ქარხანა გაამართლებს თავის დანიშნულებას.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ მშენებლობის პროცესში იყო დაშვებული მთელი რიგი შეცდომებისა როგორც თვით მანქანების გამოწერის დროს და საზღვარ-გარეთიდან სპეციალისტების მოწვევის საქმეში, ისე თვით მშენებლობაში. ეს შეცდომები უმეტეს ნაწილად უკვე გამოსწორებულია, მხოლოდ დანარჩენის გამოსწორებაც ახლო მომავალის საქმეა.

ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად ს. ს. მ. უ. საბჭომ უკვე მიიღო სრულიად გადამჭრელი ზომები ახალ ქარხნების და შენობათა ასაგები კომიტეტის დაარსებით.

ეს კომიტეტი, სანამ შენებას შეუდგებოდეს, ზედმიწევნით იკვლევს საკითხს, ყოველ მხრივ ამუშავებს გეგმებს, წარმოების პროცესის სრული გათვალისწინებით და შესწავლით სრულიად შეუძლებლად ხდის შესამჩნევ შეცდომის დაშვებას და ეხლა სრულიად აშკარად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შემდეგი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობაში ასეთ ნაკლს ადგილი არ ექნება.

ინჟენერი **ა. კანდელაკი.**

# ღარიბ სტუდენტების კვირეულის გამო

ღარიბ სტუდენტთა დამხმარე კვირეული, ალბად ბევრს მოაგონებდა იმ უაღრესად ღარიბულად გატარებულ სტუდენტობის ხანას, რომელიც მან განიცადა ყოფილი რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში. მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, ტომსკი და სხვა საუნივერსიტეტო ცენტრების საკმაოდ იტევდენ ქართველ სტუდენტებს. ორი ათას სტუდენტში თითით საჩვენებელი იყო ისეთი ქართველი სტუდენტი, რომელსაც მშობლებიდან ყოველ თვიურად მოსდიოდა საცხოვრებელი საშუალება.

ჩვენი სტუდენტობის უმეტესობა ან შინ მასწავლებლობდა, ან სტიპენდიას იღებდა. მოსამსახურე სტუდენტი გამონაკლისს შეადგენდა. უმცირესობა კი სტუდენტთა საზოგადოებიდან იღებდა ყოველ თვიურად დახმარებას.

სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გაგონებაზე ალბად ბევრს მოაგონდება თავის სტუდენტური წარსული. ამ საზოგადოების სახელზე განცხადების წერა, სალაროდან 10—15 მანეთის სესხად მიღება, ნებართვა უფასოდ სადილების მისაღებად, სტუდენტების მაღაზიიდან ფეხსაცმელების, ან ტანისამოსის გამოტანა და სხვა.

ასეთი საზოგადოებები არსებობდა და არსებობს ეხლაც ს. ს. რ. კ. რესპუბლიკებში. არსებობს ასეთი საზოგადოებები ევროპის სხვადასხვა ქალაქებშიაც.

ჩვენში დღემდე არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ 1923—24 სასწავლო წლიდან მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ღარიბ სტუდენტობის მოვლა-პატრონობას. დაარსდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა სასადილო და გადიდდა სტიპენდიანტების რიცხვი, მაგრამ მარტო ხელისუფლების დახმარება არ კმარა. საჭიროა ჩვენ მომავალ თაობას და მომავალ ღირსეულ მოქალაქეებს საბჭოთა ფართო საზოგადოებაც გამოეხმაუროს.

ჩვენში ამ ჟამად ირიცხება 9.250 სტუდენტი. მათ შორის 6790 სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1962 პოლიტ. ინსტიტუტში და დანარჩენი კი სახ. კონსერვატორიასა და სამხატვრო აკადემიაში. სოციალური შემადგენლობის მიხედვით სტუდენტობა შემდეგ ნაირად დაიყოფება: გლეხის შვილი—37%, მუშის შვილი—18%, მოსამსახურის შვილი—25%; და დანარჩენი—20% ეკუთვნის სხვა სოციალურ ჯგუფებს.

ამათ შორის უმუშევართა რიცხვი უდრის—2898, მოსამსახურეთა—2346. აქედან ცხადად სჩანს, რომ—9250 სტუდენტიდან 5244 უზრუნველყოფილი არ არის: ნაწილი სამუშაოს ეძებს და ნაწილიც მსახურობს. აქიდან სჩანს, რომ —56.6% სიღარიბეს განიცდის, ან უმუშევარია და სიმშილს განიცდის, ან სამსახურის საშუალებით ლუკმა პურს შოულობს, მაგრამ სამაგიეროდ სწავლას სცდება.

არც ბინის მხრივ არის სტუდენტობა უკეთეს პირობებში. სტუდენტების 4% უჭირავს მთელი ოთახის 1/5—1/6-მდე; 29.2% უჭირავს 1/3—1/4 ოთახისა. 25,3—1,12 ოთახისა; ერთ ოთახიანი სტუდენტების რიცხვი უდრის—35%; სრულიად უბინაოთა რიცხვი უდრის - 5%. უწყების ბინებზე [illegible]—1%; 0,5% სტუდენტობისა ამ მხრივ გამოურკვეველია.

სტუდენტობის—3.9% სადილობს მხოლოდ შემთხვევით, თუ ვინმე რამეს აჭმევს. ესენი ხშირად მშივრები არიან მთელი დღეობით.

აქედან სჩანს, რომ ჩვენი სტუდენტობის ერთი მესამედი დიდ გაჭირვებას განიცდის. სტუდენტების ასეთ მდგომარეობას საზოგადოებამ ანგარიში უნდა გაუწიოს. მშიერსა და უბინაო სტუდენტს აბა რა სწავლა შეუძლიან ის ვერც თავის გზას დაადგება და ვერც ქვეყნის სამსახურისათვის მოემზადება. საზოგადოება უნდა დაეხაროს სტუდენტებს. მარტო კვირეულის ჩატარება არ კმარა, საჭიროა ნამდვილი და მუდმივი დახმარება.

უნდა დაარსდეს სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება, რომელიც იზრუნებს ღარიბ სტუდენტობაზე და ხელისუფლებასთან ერთად და მისი დახმარებით მოაგვარებს ამ დიდ საქმეს.

**ს. ფანცხავა.**

# მარქსისტები ისევ მარქსიზმს უნდა დაუბრუნდენ

საბჭოთა საქართველოს მოქალაქემ, თუ იგი განზრახ არ დახუჭავს თვალებს, თუ მას შეუძლია განსჯვრიტოს სინამდვილე და ანგარიში გაუწიოს იმას, რაც საბჭოთა საქართველოში ექვსი წლის განმავლობაში გაკეთდა, გულწრფელად უნდა აღიაროს, რომ საქართველო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაადგა აღორძინების გზას და ის რაც ქართველი ხალხისათვის მხოლოდ ოცნება იყო, დღეს ჭეშმარიტება ხორცს ასხმება.

რა გვქონდა გასაბჭოებამდე და რა გვაქვს დღეს?

მენშევიკების ყოფილმა მთავრობამ სამი წლის-წლის მხოლოდ კინკლაობას მოანდომა და კაცთ მოყვარეობის და ერთობის ნაცვლად ეროვნებათა შუღლი და მტრობა უფრო გააღრმავა. გამუდმებული ომები მეზობელ ერებთან მუშათა კლასს სისხლიდან სცლიდა.

ომი, უცხო ჯარების თარეში, ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული დაცემა, აი რა ახასიათებდა დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სხვა გვარი მდგომარეობა გვაქვს. საბჭოთა ხელისუფლებამ საუკეთესოდ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი. აღარ არის ის ხოცვაჟლეტა, ომი მეზობელ ერებთან, რაც ყოფილ მთავრობის უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა. საქართველო აღორძინდა ეკონომიურად და კულტურულად, წინ მიდის როგორც ქალაქის, ისე სოფლის მეურნეობა. გაყვანილია სარწყავი არხები, აშენდა და კიდევ შენდება ფაბრიკა-ქარხნები — ელსადგურები და სხვა.

ასეთ დროს, როცა საქართველო გიგანტიური ნაბიჯით წინ მიდის, საზღვარ-გარეთ გადახვეწილი ყოფ. მთავრობა, თურმე კიდევ ოცნებობს „საქართველოს განთავისუფლებაზე“ და ლამობს ქართველ ხალხს თავზე მოახვიოს მეორე აგვისტო, რაც ქართველი ერის განადგურებას ნიშნავს, ისინი თურმე „საქართველოს განთავისუფ-

ლებას“ საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებას უკავშირებენ და უნდათ ქართველ ხალხს ჩააგონონ და ხელსაყრელ მომენტში ააჯანყონ თავისივე ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვინ დაუჯერებს მათ?გლეხებმა და მუშებმა უკვე იგემეს მათი „დემოკრატიული რესპუბლიკა“. როგორც სჩანს, მათ იერიშები ახალგაზრდობაში გადაიტანეს, ვინაიდან ფიქრობენ, რომ მისი გადაბირება ადვილი საქმეა.

მაგრამ, აქაც მოსტყუვდებიან. მშრომელ და მოსწავლე ახალგაზრდობასაც აუხილა თვალები აგვისტოს ავანტიურამ და ისინი მათ ანკესზე არ წამოეგებიან.

მე სრული დარწმუნებული ვარ,რომ ევროპაში გახიზნულ საქართველოს ბოროტ სულებს აქ, საქართველოში გასავალი არ ექნებათ. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმ გარემოებას. რომ ისინი კიდევ არ ცხრებიან, კიდევ ცდილობენ თავისი დემონიური სურვილების განხორციელებას და ასეთ მომენტში პოლიტიკურ დანაშაულად, პირდაპირ ქართველი ხალხის ღალატად მიმაჩნია გაჩუმება და პოლიტიკის გარეშე დგომა. ამან მე მაიძულა ხმა ამომეღო და ამ რამდენიმე სტრიქონით მიმემართა სხვებისთვისაც.

უნდა აღვიმაღლოთ ხმა ავანტიურისტების წინააღმდეგ, მხარში ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას და ვიბრძოლოთ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჯიუტობას თავი დავანებოთ, განვამტკიცოთ ის მიღწევები, რომელიც გასაბჭოების შემდეგ გვაქვს და მომავალშიაც წრფელი გულით დავეხმაროთ მათ.

მშრომელ და მოსწავლე ახალგაზრდობამ განსაკუთრებით უნდა ასწონ-დასწონონ დღევანდელი მდგომარეობა და, თუ კიდევ ვინმე განიცდის იდეურ მერყეობას დროა უკუაგდონ ის საქმე, რომელიც ქართველი ხალხისათვის გამანადგურებელია და დამღუპველი.

ნუ მივსცემთ საბაბს ბნელ ძალებს ჩვენი სახელით ქართველი ერის სისხლით ივაჭრონ. დავუბრუნდეთ ნამდვილ მარქსისტულ გზას.

აი, რას გვავალებს ჩვენი ხალხის ინტერესები ჩვენი მისდამი მოვალეობა.

ძირს ავანტიურა!

გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობის გაერთიანებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

**მასწავლებელი ივანე ვეკუა.**

# მორიგი გამარჯვება კულტურულ ფრონტზე

ორშაბათს, 21 მარტს ჩვენი უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე გაიხსნა ახალი კათედრა. — ეს არის სოციალურ ჰიგიენის კათედრა. სულ რამოდენიმე წელია რაც ეს კათედრა შემოიღეს საბჭოთა კავშირის დიდი საუნივერსიტეტო ცენტრებში. გერმანიაში კი 1912 წელს დაარსდა ეს კათედრა ბერლინში ცნობილ ჰიგიენისტ გროტიახის მეთაურობით.

ამ კათედრას დიდი მნიშვნელობა ექნება ახალი ტიპის ექიმის გამოსამუშავებლად. ძველი ინდივიდუალისტ ექიმის ტიპი უნდა შესცვალოს ექიმმა საზოგადო მოღვაწემ. ახალ ექიმმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს გამაფრთხილებელ ზომების მიღებას სნების თავიდან ასაცილებლად და შეისწავლოს ვითარება რომელშიაც თავს იჩენს ესა თუ ის სენი.

ჰიგიენის კათედრა თავისი სამოსწავლო - სამეცნიერო დაწესებულებებით უკვე გახსნილია და შეუდგა მუშაობას. 21 მარტს კათედრის გამგემ ექ. ივ. ელიაშვილმა წაიკითხა შესავალი ლექცია, ვინაიდგან ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს ლექცია არ არის მოკლებული ფართო საზოგადოებრივ ინტერეს მოგვყავს მისი მოკლე შინაარსი.

ლექტორმა უპირველეს ყოვლისა განმარტა ადამიანის ურთიერთობა ბუნებისა და კულტურულ. ისტორიულ, ეკონომიურ, სოციალურსა და პოლიტიკურ მოვლენებთან საერთოდ და შემდეგ გადავიდა იმ ურთიერთობის შესწავლაზე, რომელიც არსებობს ადამიანისა და ბუნების იმ ფაქტორთა შორის, რომლებითაც გარემოცულია ადამიანი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ეგრედ წოდებულ ზოგად ანუ ექსპერიმენტულ ჰიგიენის საგანს. ამ შესწავლის შემდეგს მეცნიერება იკვლევს ისეთ ვითარებას, რომელიც სასარგებლო და სასურველია ადამიანისათვის, რათა იგი იყოს ჯანმრთელი, ესე იგი ჰქონდეს მას შრომის სრული უნარი, სხვა და სხვა სნების დაძლევისა და თავიდან აშორების ძალა და დღეგრძელობა.

ლექტორის აზრით, იმ ურთიერთობის შესწავლა კი, რომელიც არსებობს ბუნების ფაქტორთა და ისტორიულ, ეროვნულ, ეკონომიურ, სოციალურსა და პოლიტიკურ ვითარებისა და ადამიანს შორის შეადგენს სოციალურ ჰიგიენის საგანს.

შემდეგ ლექტორმა გააცნო აუდიტორია ამ მეცნიერების კათედრის დაარსებისა და მთლიანად მისი ისტორიის მსვლელობას, მის საგანსა და ამოცაანებს, რის შემდეგაც იგი გადავიდა სოც. ჰიგიენის იმ დიდმნიშვნელოვან ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს ამ მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკულ ღონისძიებათა გვირგვინს და რომელსაც ევგენიკა ეწოდება. „იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობამ საკმაო სარგებლობით გამოიყენა ბუნების მეტყველების მეცნიერების დიდი წარმატება მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესებისათვის, ადამიანმა სრულიადაც არ მოისაზრა ამ მეცნიერების კანონების გამოყენება თავისი ჯიშის გაუმჯობესებისათვისა“-ო და თუ რომ ასეთი გაუმჯობესებისათვის ადრე არ იყო სრული შესაძლებლობის მიღწევა. დღეს **მენდელის** მიერ გამოკვლეულ და დამყარებულ მემკვიდრეობის კანონების შემდეგ. ასეთი შესაძლებლობა უკვე ფაქტია და ამ ფაქტზე ემყარება მეცნიერების ის დარგი. რომელსაც ევგენიკას ეძახიან. აქ ლექტორმა დაასურათა მაგალითებით მენდელიზმი, ტომას გენტ მორგანისა და ეაკლების გამოკვლევები და დაასკვნა: „„მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული კეთილი თვისებებია საიმედო მომავლისათვის და არა აღზრდის გამო შეთვისებული. რომელსაც არა აქვს გენეზისური ღირებულება. ამიტომ საზოგადოება. სახელმწიფო მოვალეა ანგარიში გაუწიოს ხალხის ისეთ ერთეულებს, რაგინდ ჯგუფსაც არ ეკუთვნოდეს, რომელთაც აქვთ ასეთი თანდაყოლილი თვისებები და რომელთა ხელოვნურ შერჩევის მეოხებით შესაძლოა წარმოშობილ იქმნეს დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ხალხი-ო.

დასასრულ ლექტორმა განაცხადა: „მოსწავლე ახალთაობა ცხოვრებაში უნდა შევიდეს ცოდნით, მხნეობითა და შრომის დაუზარებლობითა და უნარით.

სოც. ჰიგიენა ფრიად ნორჩი მეცნიერებაა და მხოლოდ ამხანად იკიდებს ფეხს. მოდით გასალკდევებული მხნეობით შეუდგეთ მის ზრდა - განვითარებას, **რაც ეგზომ შეეფერება ჩვენს განახლებულ ცხოვრებას მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ და ჩვენდა სანუგეშოდ“-ო.**

სამწუხაროდ ძნელია ასეთი მოკლე მიმოხილვაში ვრცლად შევეხოთ იმ ფაქტებისა და დებულებების განმარტებას, რომლითაც აღსავსე იყო ეს ლექცია, გაშუქებული ცოცხალი სიტყვითა და დიაგრამებით.

ვუსურვოთ ახალ კათედრას ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ერის ჯანმრთელობის საკეთილდღეოთ.

ექ. ივ. ლორთქიფანიძე.

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მხოლოდ ერთი გზაა

ერთხელ კიდევ ისმება საკითხი იმის შესახებ, რუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი ახალგაზრდობა. ერთხელ კიდევ დაგვიდგა ისეთი მომენტი, როცა კრიტიკის თვალით უნდა გადავხედოთ იმას, თუ რა ხდება ერთის მხრივ საბჭოთა კავშირში და მეორეს მხრით—მის გარეთ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებში.

ჩვენ გვავალებს დღევანდელი მომენტი შევისწავლოთ განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ამიტომ ჩვენ უნდა შევისწავლოდ და კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ის აუარებელი ფაქტები, რომლითაც ასე მდიდარია უკანასკნელი ათეული წლების მსოფლიო ისტორია. მხოლოდ ასეთ მუშაობას შეუძლია მოგვცეს საშუალება სწორი პოლიტიკური და სწორი ხაზის გასაყვანად, მხოლოდ ასეთ მუშაობას შეუძლია დააყენოს საფუძველზე ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური პოზიცია..

ეს არის უდიდესი საკითხი ქართველ ახალგაზრდობისათვის დღევანდელ მომენტში. იგივე საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენს დღეს თვით ქართველი ერისათვის. მაგრამ ასეთი მუშაობა აუცილებლად უნდა სწარმოებდეს. ეს კი მოითხოვს დიდ დროს და დღე-

ვანდელი მომენტი კი დღესვე გვიყენებს საკითხს: სად და ვის რიგებში უნდა იყოს ქართველი ახალგაზრდობა? ის გვერდში უნდა უდგეს ქართველ მშრომელ ხალხს, თუ გულხელდაკრეფილი უნდა იდგეს და მოელოდეს ნ. რამიშვილისა და სხვა ევროპაში გადახიზნული ჩვენი ყოფილი ამხანაგების დირექტივებს? ამ კითხვაზე უკვე გასცეს პასუხი ქართველმა მუშებმა, რომლებსაც შუბლს უშვენებს რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მათ მიერ წარმოებული რევოლიუციონური ბრძოლის შარავანდედი, ამ საკითხზე უკვე გასცეს პასუხი, როგორც ქართველმა მუშებმა, ისე ჩვენი ახალგაზრდობის დიდმა უმეტესობამ. ყველა ესენი დღეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ენერგიულად მუშაობენ თავისი ქვეყნის ახალი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში... და, რა თქმა უნდა, ჩვენი დღევანდელი წერილის საგანს ისინი არ შეადგენენ.

ჩვენ სახეში გვყავს ჩვენი ახალგაზრდობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ევროპაში გადახვეწილი საქართველოს ემიგრაციის გავლენიდან, რომლებიც დღესაც დგანან გზაჯვარედინზე და არ იციან საით წავიდენ.

მართლაც ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, თუ რა ხდება დღეს საბჭოთა საქართველოში, თუ რა პირობებია შექმნილი საქართველოსათვის სულიერი და ეკონომიური კულტურის განსავითარებლად.

ეს გარემოება თავისთავად უნდა უკარნახებდეს ჩვენს ახალგაზრდობას მისი მოქმედების პროგრამას, ამ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში უნდა იყოს მთელი ახალგაზრდობის სული და გული, მთელი მისი ძალღონე, მისი სულიერი და ფიზიკური ენერგია.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელზეც ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ, ამას არაეითარ ანგარიშს არ უწევს; ის ისევ სდგას გზაჯვარედინზე და ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია საით წავიდეს, რა გზა აირჩიოს, რას მოკიდოს ხელი. ის ცოცხალმკვდარივით სდგას და შორიდან შეყურებს ამ ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობას. თითქოს, ეს მის სამშობლოში კი არა, არამედ სადღაც სხვა პლანეტაზე ხდებოდეს.

ჩვენ არც იმას ვიტყვით, რომ ისინი ამ მუშაობის წინააღმდეგ მუშაობდენ, მაგრამ ჩვენ პირდაპირ დანაშაულად და ქვეყნის ღალატად მიგვაჩნია ასეთ დროს გაურკვევლობა, აპატიის გამოჩენა. თუ ჩვენმა თაობამ მეტი არ ვიცით, ჩვენი უფროსი ამხანაგების ისტორია მაინც მოვიგონოთ. როგორ მუშაობდენ ისინი თვითმპყრობელობის დროს, როგორ სწავლობდენ, როგორ იბრძოდენ უკეთესი მომავლისათვის. აი ეს ისტორია მთელი სკოლა უნდა იყოს ჩვენი თაობისათვის. სამწუხაროდ ეს ასე არ არის.

ახალგაზრდობას არ შეუძლია ცხოვრების გარეშე დგომა დღევანდელ პირობებში. ის, ვინც ცხოვრების ფერხულში მონაწილეობას არ იღებს, ვინც ცხოვრებას წინ არ ეზიდება, ის უკან იწევს და ცხოვრებასაც უკან ეზიდება. იმან ძალაუნებურად უნდა უცადოს ევროპიდან რამიშვილის დირექტივას, ის ძალაუნებურად უნდა ჩავარდეს ახალი აგვისტოს, ახალი ავანტიურის მახეში.

სად არის გამოსავალი? სად არის გზა?

გზა ერთად-ერთია: დღეს ყველა ჩვენგანი უნდა ამოუდგეს გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას, ყველამ ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის საქმეში, ყველა ჩვენგანმა მთელი თავის ძალ-ღონით, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ ავანტიურას და მით მხურვალე მონაწილეობა მიიღოს თავისი სამშობლოს, თავისი მართლაც დამოუკიდებელი ახალი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

საზ. უნივერსიტეტის სტუდენტი **შალვა აბრამია.**

## სად უნდა ვიყოთ ჩვენ

მკითხველ საზოგადოებას არ ეგონოს თითქოს დღეს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია გასაჭირს განიცდიდეს პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე, და ამიტომ მოუწოდებთ ვისმეს თანამშრომლობისაკენ.

არა, საბჭოთა კავშირის დღევანდელი მდგომარეობა, ამ მხრივ მეტად სანუგეშოა.

თუ დღეს ის მთავარ ყურადღებას გვიზიარებს ჩვენ და ჩვენს შორის მუშაობას, ეს იმის მომასწავებელია, რომ მას სურს თვითეული ყოფილი მოწინააღმდეგეთაგანი და თითქმის ყოველი მოქალაქეც კი ჩააბას ჩვენში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობაში. ეს სადაო არ არის; ამისათვის ვინც ოდნავად მაინც იცნობს საბჭოთა ხელისუფლების დღევანდელ მიღწევებს. იყო დრო, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას მოელოდა საშიშროება საშინაო და საგარეო კონტრ-რევოლიუციისაგან. მაგრამ დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ეს საშიშროება დასძლია კომუნისტურ პარტიამ.

ყოველი ამის შემდეგ ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ საბჭოთა კავშირში დაიწყო აღდგენა ტრანსპორტთა, ფაბრიკა-ქარხნებისა, რომელიც დანგრეული იქნა ავაზაკური იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების პერიოდში.

მაგრამ, რაც მთავარია ეს არის ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი მრეწველობა მოაწყო არა ისე, როგორც ეს არის კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ მასში მან შეიტანა გეგმაშეწონილი სოციალისტური დასაწყისი.

დიახ, ეს ასე არის და ამ ფაქტს გვერდს ვერავინ აუვლის.

ვიკითხოთ—რა იყო ჩვენი ბრძოლის მიზანი. რა პირობებში და ფორმებში იყო იგი ჩამოყალიბებული?

მას შემდეგ, რაც თებერვლის რევოლიუცია ოქტომბრით შეიცვალა, ჩვენ იგი არ ვიცანით; და არა მარტო არ ვიცანით, არამედ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ მას; გამოუცხადეთ იმიტომ, რომ მას მეთაურობდა ბოლშევიკური პარტია, რომელიც იყო და არის კლასობრივი ბრძოლის პრინციპის გამტარებელი. მან. პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით გაიმარჯვა. ჩვენ ყველა მას ვებრძოდით დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის იმედით..

რა მოგვცა ჩვენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლამ?

მოგვცა ის, რომ ჩვენი ოდესღაც მართლა რევოლიუციონური პარტია გადაიქცა ფაშისტების ბრმა იარაღათ, რომელსაც იყენებენ იმ სოციალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც უწინ თვითონ ემსახურებოდა.

აი მიზეზი, თუ რატომ გავსწყვიტეთ ჩვენ ყოველივე კავშირი ს. ს.-დ. პარტიასთან.

რატომ მივედით ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან? იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურ პარტიამ თავისი დაუღალავი მუშაობით ყველა სფეროებში ჩვენ დაგვაყენა ცოცხალი ფაქტების წინაშე. მან დაგვიმტკიცა, რომ ის არის ერთად-ერთი სოციალისტური პარტია, რომ მხოლოდ ის იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, შებრძანდეს დღეს ტფილისში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით ტფილისში წარმოებულ ყრილობებზე და იქ თვისი საკუთარი თვალით დაინახავს ჩვენი სიტყვების სიმართლეს.

სად და ვისთან უნდა იყოს ასეთ პირობებში მშრომელი ახალგაზრდა? რა თქმა უნდა, იქ, სადაც იჭედება და იქმნება ახალი საქართველო, სადაც ეყრება მაგარი საძირკველი ქართველი ხალხის დამოუკიდებელ არსებობას.

ამას აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება და ამიტომაც ჩვენ მთელის ჩვენი ძალღონით, ახალგაზრდა ენტუზიაზმითა და გატაცებით უნდა ვიდგეთ მასთან ერთად, მთელის ჩვენი ძალღონით უნდა ვემსახურებოდეთ მის მიზნებს, რაც იმავე დროს ჩვენი მშრომელი ხალხის მიზნებია.

**კ. კობახიძე.**

# გაზაფხული

გაზაფხულდა... მთა და ბარმა
წამოისხა თექა მწვანე.—
გულმა სუსხით შენაზარმა
იგრძნო შვება და სიამე.
მნათობთ მეფემ ოქროს სხივით
არე უხვად გადახაზა
და მოქარგა შვების მძივით
შრომის ბუდე, შრომის ბაზა.
მოსწყდა მწვერვალს ყინულოვანს
მოჩუხჩუხე მთის ანკარა
და მიდამოს ზურმუხტოვანს
ცის ცრემლებად დაეყარა.
ია-ვარდი ფიანდაზად
მოეფინა ტურფა მდელოს
და ბულბულიც ნაზად, ნაზად
უმღერს შრომის საქართველოს...
გაზაფხულდა... მთა და ბარმა
წამოისხა თექა მწვანე,—
გულმა სუსხით შენაზარმა
იგრძნო შვება და სიამე.

ლ. დარჩია.

## კოწია გეწაძის განცხადება

1904 წლიდან 1921 წლამდე მე ვეკუთვნოდი სოციალსტ რევოლიუციონერთა პარტიას.

საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ყოვლად დაუშვებლად და ჩვენი ქვეყნის დამღუპველად მიმაჩნია ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საზღვარ-გარეთ მოკალათებული უპასუხისმგებლო ემიგრაცია — სრულიად შეგნებულად და გულწრფელად ვიზიარებ **„ახალ-გზის“** პოზიციას და მზად ვარ მთელის ჩემის ენერგიით დავეხმარო და ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

კოწია გეწაძე.

## ივანე დოლიძის განცხადება

მე 1915 წ. 1920 წ-დის ჯერ საშუალო და მერე უმაღლეს სასწავლებლის მოწაფე, ვითვლებოდი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრად და ამ ხნის განმავლობაში ვეწეოდი, როგორც არალეგალურ ისე ლეგალურ მუშაობას. 1920-დან კი დავრწმუნდი მასში, რომ ფედერალისტებმა და მენშევიკებმა თავისი პროგრამის მინიმუმიც ვერ გაანახორციელეს გარდა კინკლაობისა და ერებს შორის შუღლის და სიძულვილის გაღრმავების მეტი, ამიტომ ვამჯობინე ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე დავმდგარიყავი.

მაგრამ დღეს ყველა პოლიტიკურ ანბანის მცოდნეც მიხვდება, თუ რა ხდება ამჟამად ბურჟუაზიულ ქვეყნებში და რა როლს ასრულებს საქართველოს ემიგრაცია. მშრომელი კლასის ყველა გულშემატკივარი ადამიანი ვალდებულია ხმა აღიმაღლოს მათი ბოროტი ზრახვების წინააღმდეგ, რისთვისაც ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს საჯაროთ დავგმო მათი მოქმედება.

მე გულწრფელად ვუერთდები ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავეთა ჯგუფის გამოძახილს და აღებულ გზას და სრულებით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საქართველოს ერს, ისე, როგორც ყველა პატარა ქვეყნის ხალხს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეუძლია აღორძინდეს და აყვავდეს, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად.

სრული რწმენით ვაღიარებ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს და ფიცსა ვსდებ ყოფილ. ახალგ. მარქსისტებთან ერთად დავიცვა ის წითელი დროშა, რომელიც შეღებულია მშრომელი ხალხის სისხლით და თუ საჭიროება მოითხოვს თავიც შევსწირო მას.

გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობის გაერთიანებულ ფრონტს!.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ივ. დოლიძე.

# აგარაკი ბახმარო

მოახლოვდა საგარაკო სეზონი, როდესაც თვითეული ავადმყოფი ადგენს გეგმას თავის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ირჩევს ამა თუ იმ აგარაკს, საითკენაც ისწრაფვის მისი სული და გული. მეტი არ იქნება თუ ორიოდე სიტყვით მოვიგონებთ აგარაკ ბახმაროს მისი კლიმატიური თავისებურებებით.

ეს აგარაკი მდებარეობს ოზურგეთის მაზრაში აჭარა-ახალციხის მთების საზღვარზე. ის გარს შემორტყმულია წიწვიანი ტყით: ნაძვითა და ფიჭვით, რომლისაგანაც ჰაერი გაჟღენთილია საამური სურნელებით, რაც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს დაავადებულ ორგანიზმზე და მცირე ხნის განმავლობაში სრულებით სცვლის მის ბუნებას. აქაური ჰავა უხდება ფილტვებით დაავადებულთ და სრულიად სპობს მალიარიას. დადასტურებულია სასწაულებრივი ზეგავლენა აქაური ჰავის: პირველი და მეორე სტადიის ფილტვებით დაავადებულნი აქ სრულიად იკურნებიან. ბევრი გვინახავს იმისი მაგალითი, რომ სნეული აქ ამოუყვანიათ საკაცით და ერთი თვის შემდეგ კი ის თავისი ფეხით დაბრუნებულა სრულიად გაჯანსაღებული.

მაგრამ ბახმაროს ერთი ცუდი თვისებაც აქვს. ის ცუდი მასპინძელია ისეთი ავადმყოფისთვის, რომელსაც ფილტვებით სნეულება უმაღლეს სტადიამდე აქვს განვითარებული. ასეთ ავადმყოფს ის თავის წიაღში არ ღებულობს და 24 საათის განმავლობაში აქრობს. სამაგიეროთ ვისაც მიიღებს მას არ აკლებს მზრუნველობას და მისი სიცოცხლეც უზრუნველ - ყოფილია. როგორც მეცნიერები ამბობენ, აქაური ჰავა შეზავებულია ზღვისა და მთის ჰავათა ქიმიური შეერთებით, რაც ახდენს ასეთ სასწაულებრივ დადებით ზეგავლენას, რომლის მსგავსს ჩვენ ვერ ვხედავთ საქართველოს სხვა აგარაკებზე. ამის მიზეზია ის, რომ მიუხედავად ცუდი გზებისა აქ ეტანება დიდძალი ხალხი. 1925 წლამდე საშუალო რიცხვი მოაგარაკეებისა შეადგენ და 4—5.000 სულს, შარშან კი, აღწერის მიხედვით, იყო 12.000 სული, ფაქტიურად კი იქნებოდა რამოდენიმე ათასით მეტი.—

რაც შეეხება აღმშენებლობას, საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სხვა დარგში, აქაც ინტენსიურ ღონისძიებებს ხმარობს აგარაკის კეთილ მოწყობისთვის. დასახულია განსაზღვრული გეგმა მუშაობისა, რომელიც ეკონომიურ რესურსების მიხედვით თანდათანობით სრულდება: დაწყებულია კაპიტალური მუშაობა აგარაკის შემოლობვისა 15 ვერსის მანძილზე, რომ პირუტყვმა არ დააზიანოს ტყე, შენდება სანატორიუმი დაავადებულ მუშამოსამსახურეებისათვის, მოწყობილია კოოპერატიული სასადილოები, სადაც ავადმყოფთ მიაწოდებენ საღ საჭმელს და რძის პროდუქტებს.

1922—23 წ. გავრცელებულმა ხმებმა სახლების ნაციონალიზაციის შესახებ შეაფერხა ახალი სახლების აგების საქმე, მაგრამ 1924 წ. საქ. ც. აღმ. კომ. თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის ოფიციალურმა განცხადებამ სახლების მეპატრონეთა კრებაზე, რომ გლეხების და მუშების მიერ აგებულ ქოხებს საბჭოთა ხელისუფლება არ ჩამოართმევს და პირიქით დაეხმარება იაფ-ფასებში მასალის მიწოდებით, ძლიერ დიდი გავლენა მოახდინა.

ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ 1925—26 წ. აშენდა 200-მეტი ახალი სახლები და დაწყებულია ახალი სახლების აგება, სადაც უპირატესობა ეძლევა პროფკავშირებს და კოოპერატიულ ამხანაგობებს. გურიის და აჭარისტანის გან. მუშაკთა პროფკავშირებმა უკვე ააგეს სახლები თავიანთ წევრებისთვის. კარგია სხვა მაზრების პროფკავშირებიც მიჰბაძავდენ აჭარისტანისა და გურიის

პროფკავშირებს და დროზედ შეუდგებოდენ ამ ფრიად საჭირო სახლების აგებას.

რაც შეეხება გზებს, წარსულთან შედარებით, ის გაუმჯობესებულია. საცხენოსნო გზა ამ აგარაკზე 4 მიმართულებით მიდის: 1. ოზურგეთ - ვაკიჯვრის, 2. ასკანის, 3. ხიდისთავის და 4. ჩოხატაურ - ნაბეღლავით. უკანასკნელი გზა ჩოხატაურ - ნაბეღლავის მიმართულებით ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს დაიწყო, სადაც იძულებით გამოჰყავდათ სამუშაოთ მთელი მაზრის გლეხობა. იყო შედგენილი და დადასტურებული გეგმა გზატკეცილისა, რის დამთავრებას მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. გეგმის 1-მესამედი შესრულებული დარჩა. მენშევიკურ ხელისუფლების დროს დაიწყეს გაგრძელება ამ გზის კეთებისა, მაგრამ აქაც ვერ იქნა დამთავრებული. გასაბჭოების შემდეგ ამ გზას მუშაობს ორი თემი ხევ-ერკეთსა აგერ 3—4 წელია, ეხლაც დიდი მუშაობაა იქ გაჩაღებული, მთავრობაც აძლევს მატერიალურ დახმარებას იარაღების, წამლისა და ფულის მიწოდებით. როგორც იტყობინებიან უკვე საურმე გზა ამ სეზონისათვის უზრუნველყოფილია, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ მცირე რიცხოვან 2 თემისათვის, რომელნიც მთელი მაზრის მნიშვნელობის გზას ამთავრებენ. წინეთ დასახელებული გზებით ბევრი მარცხი მოხდა. გასულ წელს, ვაკიჯვრის გზით 2—3 უბედური შემთხვევა იყო, როდესაც წუთისოფელს გამოასალმენ პაწია ბავშვები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სეზონზე ასეთი უბედურება აღარ განმეორდება.

• • ვ. მამალაძე.

# სწავლა-განათლების საქმე კახეთში

## ახმეტის თემის სკოლები

ოთხწლედის მასწავლებლობის საკმაოდ დიდ ნაწილს ვერ მოუხერხებია განხორციელება იმ პროგრამისა, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას ნამდვილი რევოლიუციაა პედაგოგიკის სფეროში.

ვერ ატარებენ იმიტომ, რომ მათ ვერ შეითვისეს სული და გული ამ პროგრამისა. ბევრი მათგანს გათვალისწინებული არა აქვს რისთვისა ვზრდით, ვისთვისა ვზრდით. დროა მათ გაიგონ, რომ ოთხწლედში ვასწავლით არა საგნებს, რომლებსაც ისინი შემოგვთავაზებენ ხოლმე, როცა სკოლას ვათვალიერებთ, არამედ ცხოვრებასა. სკოლამ ბავშვს გარემო ცხოვრება უნდა შეასწავლოს, შიგ მონაწილეობა მიაღებინოს, დრომოჭმული მხარე ცხოვრებისა გარდააქმნევინოს.

მასწავლებლობას ბევრჯელ უმტვრევია თავი იმაზე ფიქრით, თუ რა თემა აიღოს დასამუშავებლად, არაა ამისათვის საჭირო დიდი ფიქრი, ერთი პირობაა მხოლოდ შესასრულებელი. მასწავლებელმა სწავლების დაწყებისას დასვას კითხვა თავისა და მოწაფეთა წინაშე: რას წარმოადგენს მათი გარემო, რა ესაჭიროება ამ გარემოში მცხოვრებთ, ყველაზე მეტად რა აწუხებთ, რა სტკივათ. ამნაირად ცხოვრების პროცესიდან წამოჭრილი კითხვა აიღონ და, თუ იგი პედაგოგიურად მდიდარია, თუ ის ორგანიულად დაკავშირებულია პროგრამასთან და რაც თავი და თავია, თუ ეს კითხვა დააინტერესებს, მაშინ დაიმუშაონ. არამცა და არამც თემის შერჩევის დროს ბავშვის ბუნება და მისი ინტერესები არ უნდა დავივიწყოთ, მუშაობა ბევრს დაჰკარგავს, თუ იმას ბავშვებს თავს მოვახვევთ წინააღმდეგ მათი სურვილისა. ამნაირი საქმიანობით გავაჯანსაღებთ თქვენ მუშაობას და მივიღებთ არა მკვდარ უსულო, კომპლექს სიტყვას, არამედ სისხლხორცით სავსე კომპლექს. საქმეს. მასიურ სკოლამ წმინდა პრაქტიკული ამოცანა უნდა დაისახოს, ახალგაზრდობა მის გადაჭრის პროცესში მიიღებს როგორც ტეხნიკურ შეჩვევებს, ისე საზოგადოებრივ პოლიტიკურ აღზრდას.

რა გაუკეთებია ამ მხრივ ახმეტას სკოლას.. მას, სამწუხაროდ, ის შემთხვევებიც კი არ გამოუყენებია, რომელიც ძრიელად უკარნახებდა საზოგადოებრივ საქმიანობის ჩატარებას.

საქმე ისაა, რომ თანახმად ჩვენი პროგრამისა ახმეტის მოწაფეებს წელს სკოლის მამულში გაეშენებიათ ბოსტანი. ჩვენი სკოლებისთვის მებოსტნეობა მეტად მადლიანი და ხალისიანი საქმიანობაა. ბოსტანი საუკეთესო ასპარეზია ბუნებისმეტყველების, ელემენტარულ ქიმია-ფიზიკა და მათემატიკის მეცადინეობისათვის. ბოსტანი ბუნების წიგნია და ამ წიგნზე უნდა ვსწავლობდეთ,თუ გვინდა,რომ ჩვენი ცოდნა მტკიცე იყოს. სასკოლო ბუნების მეტყველებას საფუძვლად უდევს ორგანიზაციული გამოყენება ბუნების სიმდიდრისა და ძალებისა სოფლის მეურნეობის სფეროში. რომ გამოყენებითი მიზანი აქვს ბუნებისმეტყველებას — ეს არც ერთხელ არ უნდა დავივიწყოთ.

სასკოლო ბოსტანი ერთგვარი აგრონომიული ლაბორატორიაა, სადაც მეურნეობის ძირითადი საკითხები მტკიცდება მოწაფეთა მიერ გამოკვლევითი პრაქტიკული მეცადინეობით. თვითეული სკოლა აგრო-პროპაგანდის კერად უნდა გადავაქციოთ, ამ კერამ გლეხს უნდა ასწავლოს თესლთა ბრუნვა, ნიადაგის გაპატივება, გასწიოს აგიტაცია სამეურნეო იარაღის შესაძენათ, თორემ ჩვენი გლეხი პირველყოფილ მდგომარეობას ვერ გასცილებია... ჩვენს უდიდეს სიმდიდრეს — სასუსქს გლეხი ჯერაც ისევ გზაზე ჰყრის და წყალს ატანს, მას მეურნეობის დარგშიაც-კი ცრუმორწმუნეობისთვის თავი ვერ დაუღწევია. დიდხუთშაბათობით რგავს კომბოსტოს იმ რწმენით, რომ დიდ თავს გაიკეთებსო და წითელ პარასკევს ქარხალსა თესს, რადგან დარწმუნებულია, წითელი გამოვა. ბოსტანი არა ნაკლებად მდიდარი მასალის მომცემია შემოდგომისას. ამ დროს მოწაფეთა წინაშე დაისმება საკითხი — რა მოსავალი მოდის გლეხის მამულში და რა კულტურულად გაუმჯობესებული სკოლის ეზო-ყურეში. აღრიცხავენ ყველაფერს, შეადგენენ დიაგრამებს, დაამზადებენ მოხსენებებს, გამოჰფენენ თავიანთ მოსავალს და მოსახლეობის წინაშე წარსდგებიან. გლეხკაცობაც ყველაფერს ამას დაინახავს საკუთარი თვალით და გაიგებს სკოლისაგან ბევრს რამეს.

მოხდა ყველაფერი ეს ახმეტაში?.. სკოლას არ მიუღია მონაწილეობა მოსავლის დღეში თავისი ნაწარმოებით, ბავშვების ნაამაგარი ამაოდ ჩაიარა.

სკოლების დათვალიერების შემდეგ მოვაწყეთ მასწავლებელთა კონფერენცია. მან დაჰფანტა ის უხალისობა, რომელიც შემოდგომის ჯანყსავით ჩამოჰბუროდა სკოლასა.

მთელი მასწავლებლობა იმედებით აღავსო იმ გარემოებამ, რომ განათლების განყოფილებამ უკვე მოაწყო ინსტრუქტაჟი და მისი ნაყოფი კონფერენციაზედაც გამოჩნდა. იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მოხსენება, როგორც ინსტრუქტორებისა, ისე გლეხ. ახალგაზ. სკოლის გამგისა. მასწავლებლობამაც წარმოადგინა თავისი მუშაობის სავარაუდო გეგმა..

კონფერენციამ ბევრი ბუნდოვანი კითხვები გაარკვია და დაისახა რამდენიმე მეტათ მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად განსახორციელებელი კომპლექსი — საქმე.

დ. თურდოსპირელი.

სარედაქციო კოლეგია.

ალმასკოძის სტამბა, კამოს ქ. № 68.